პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი შაბათი 31 მაისი № 125 (17768) ფასი 2 კაპ.

დიდი შრომითი გამარჯვება

„საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი „კავკასელექტროძალმშენის“ ტრესტის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავენ თქვენ — მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლებსა და მემონტაჟეებს დიდ შრომითს გამარჯვებას — საჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

მაღალი ძაბვის ელექტროძალების მშენებლებმა ყოველწლიური საგეგმო დავალებების გადაჭარბებით შესრულება უზრუნველყვეს შრომის ნაყოფიერების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების გზით.

რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარებაში თქვენი წარმატებანი ტრესტის სისტემის საწარმოთა ყველა კოლექტივის თავდადებული შრომის, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ღირსეული შედეგია.

„კავკასელექტროძალმშენის“ ტრესტი მეათე ხუთწლედში მუდამ იმარჯვებს სრულიად საკავშირო დარგობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო 1979 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით მას გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ტრესტის ძირითადი ამოცანაა ააგოს ელექტროძალსელური ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდებასა და განაწილებას. შექმნილია ყველა პირობა არა მარტო საქართველოს, არამედ აგრეთვე აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღესტნის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-მალყარეთისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკების, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების დასახლებული პუნქტების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების საიმედო ელექტრომომარაგებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ „კავკასელექტროძალმშენის“ ტრესტის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები არ დასჯერდებიან მიღწეულს, განსაზღვრავენ მეათე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულების ახალ მიჯნებს, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

ქართველ ბავშვთა წარმატებანი

[illegible] — ასწრებენ, ხარისხიანად ამზადებენ საქართველოს [illegible] ობიექტებთან [illegible] ალ-ამურის მაგისტრალის დასავლეთი მონაკვეთის სადგურ ნია-გრუზინსკაიას რკინიგზელთა დამასაც. მთავრდება ცხრა 18-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, საბავშვო ბაღის მშენებლობა, სწრაფი ტემპით შენდება სკოლა, სავაჭრო საზოგადოებრივი ცენტრი, სადგური, საწმენდი ნაგებობანი, საქვაბე და საინჟინრო კომუნიკაციები.

ამ დღეებში რკინიგზელთა დაბის მშენებლობას გაეცნო სსრ კავშირის გზათა მინისტრი ი. გ. პავლოვსკი. მან მაღალი შეფასება მისცა ბამზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა შრომას, რომლებიც საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ მუდმივ ზრუნვასა და ყურადღებას გრძნობენ. ამხ. პავლოვსკიმ აღნიშნა აგრეთვე, რომ ნია-გრუზინსკაიას სადგურში სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, საინჟინრო ნაგებობის აქტიური მშენებლობა რეალურ შესაძლებლობებს ქმნის ბამის დასავლეთი მონაკვეთის ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

(საქინფორმი).

დარგე ხე, თაყვანი ეცი მას

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების VIII ყრილობა

„ქორწილია — დარგე ხე,
შვილი შეგეძინა — დარგე ხე,
გიხარია — დარგე ხე,
დარდი შემოგაწვა — დარგე ხე...“

პოეტის ეს ხატოვანი სიტყვები საქართველოს ბუნების დამცველთა დევიზად იქცა. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკაში თითქმის თორმეტი მილიონი ხე და ბუჩქი დაირგო, ახალი ტყეები გაჩნდა 45 ათას ჰექტარ ფართობზე.

ეს მონაცემები მოიყვანეს 30 მაისს თბილისში გახსნილ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების VIII ყრილობაზე.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, სრულიად რუსეთის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბუნების დაცვის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. თ. ბარიშპოლი.

შეკრებილნი ერთსულოვნად ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ყრილობის დელეგატებს მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ზ. ბ. გელდიაშვილმა.

სარევიზიო კომისიის ანგარიში ყრილობის დელეგატებს წარუდგინა კომისიის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ რ. შ. კაკულიამ.

ყრილობაზე გამოვიდნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ნ. კეცხოველი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბუნების დაცვის საზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ნ. ნეფედოვი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადოების აფხაზეთის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ო. საყაია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. კადენეცი, ბუნების დაცვის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობისა და მწვანე მშენებლობის ფაკულტეტის დეკანი ი. გ. ხმალაძე, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ი. კაჭარავა, ქუთაისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, საზოგადოების აქტივისტი დ. ს. ძერია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიის თავმჯდომარე — აკადემიკოსი ლ. კ. გაბუნია, ბაიუმის 21-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. ბ. როყვა, რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ი. ჭალაგანიძე, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნებისადმი კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ტ. ი. თურმანიძე და სხვები.

ყრილობამ შეიმუშავა და მიიღო ბუნების დაცვის, საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ფართო პროგრამა.

ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბუნების დაცვის საზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ნ. ნეფედოვი.

(საქინფორმი.)

რესპუბლიკის მემინდვრეთა და მექანიზატორთა გამოცდა

რესპუბლიკის რაიონებში ამ დღეებში იმართება ზონალური თათბირები, რომლებიც საქმიანად, საფუძვლიანად მსჯელობენ სოფლის თითოეული მშრომელის, თითოეული კოლექტივის დღევანდელი დღის მოთხოვნებზე, პასუხსაგებ ამოცანებზე.

თათბირებზე ხაზგასმით ითქვა, რომ შექმნილ ვითარებაში, როცა უამინდობის გამო საფრთხეშია სეზონურ სამუშაოთა დროული დამთავრება, უხვი მოსავლის მისაღებად დღეს განსაკუთრებით საჭიროა მიწათმოქმედების ეშრომონ დიდნაყოფიერად, მაქსიმალურად გამოიყენონ ყოველი დრეიანი დღე და საათი, გააძლიერონ მეწყერის სამუშაოთა ტემპი და გაუმჯობესონ ხარისხი.

გაჭიანურებული გაზაფხული სხვებთან ერთად დიდ მოთხოვნებს უყენებს მემინდვრეებსაც.

მკათათვემდე ჯერ კიდევ ერთი თვეა, მაგრამ შირაქის ამრეშებული ყანები მემინდვრეებს უკვე ალოობის სამზადისისათვის უხმობს. სადაც არის, დაიწყება საჭირნახულო ლაშქრობის ფინალი, რომელიც მთელი წლის საფიქრალს ერთად ერთ ყურის თავს და, ამდენად, ყველაზე პასუხსაგებ პერიოდია მხვნელ-მთესველის ცხოვრებაში. სწორედ მკაში უნდა გადაწყდეს თავთავიანების — ამ უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურების მოსავლის ბედი, რომელიც ეხოდენ აფიქრებს და აღელვებს დღეს ყველას, ვინც დაინტერესებულია ამ დიდი პრობლემით.

საფიქრალი და ასაღელვებელი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ რესპუბლიკაში მარცვლეულის ნათესები ბოლო 15 წელიწადში 189,2 ათასი ჰექტარით შემცირდა და წლითიწლობით ვერ სრულდება მარცვლეულის წარმოების გეგმები, რაც დაღს ასვამს სოფლის ეკონომიკას და მეცხოველეობასაც სრულფასოვანი ფურაჟი აკლდება.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემების გადასაჭრელად, თითოეული ჰექტარის პროდუქტიულობის ასამაღლებლად მეათე ხუთწლედში ბევრი რამ გაკეთდა. თუმცა გასულ 4 წელიწადში მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით ყოველწლიურად საშუალოდ 41 ათასი ჰექტარით ნაკლები იყო მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი, 1976-1979 წლებში წინა ხუთწლედთან შედარებით 135 ათასი ტონით გაიზარდა მარცვლეულის წარმოება. შარშან, მიუხედავად ყვალვებისა, სიმინდისა და პურეულის ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 5-6 ცენტნერით გადაჭარბა მეცხრე ხუთწლედის შესაბამის მაჩვენებლებს.

ბოლო წლებში განსაკუთრებით იმარჯვეს აბაშის, ხობის, ზუგდიდის, მარნეულის, ახალქალაქის და სხვა რაიონების მემინდვრეებმა. შარშან მათ 112-147 პროცენტით შესრულეს მარცვლეულის დამზადების გეგმები. მოსავლიანობის ზრდის დინამიკა მეტად თვალსაჩინოა აბაშაში, სადაც სიმინდის მოსავლის ჰექტარობრივი მაჩვენებელი 1974-1979 წლებს შორის 29,7-დან 48 ცენტნერამდე გაიზარდა.

აბაშელ მესიმინდეთა მაგალითი ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ მარცვლეული კულტურების მოყლა-მოყვანის ახალი ინდუსტრიული ტექნოლოგია სასურველ ეკონომიკურ ეფექტს მხოლოდ მაშინ იძლევა, როცა თითოეული მემინდვრე ზუსტად ასრულებს ტექნოლოგიით გათვალისწინებულ ყოველ ოპერაციას, ვინაიდან საბოლოო შედეგი დამოკიდებულია სამუშაოთა დროულ და ხარისხად შესრულებაზე. ამ მხრივ აბაშელთა გამოცდილება გავრცელებას იმსახურებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომაც მიმდინარე წლის 8 მაისიდან ამ რაიონში დროულად შექმნა მუდმივმოქმედი სემინარი, სადაც დასავლეთ საქართველოს მექანიზატორმერგოლურები სწავლობენ ინდუსტრიული ტექნოლოგიით სამარცვლე სიმინდის წარმოების მოწინავე მეთოდებს და 1981 წლიდან ამ სიახლეს თავიანთ მინდვრებში დანერგავენ.

ეს ღონისძიება უთუოდ სარგებლობას მოიტანს და გაზრდის მხვნელ-მთესველთა პასუხისმგებლობას აგროტექნიკური კომპლექსის განუხრელი დაცვისათვის. არადა, სწორედ ახლისადმი, მოწინავისადმი ნაკლები ინტერესი, უდარდელობა, ნაკლები პროფესიული კომპეტენტურობა, იმის მთავარი მიზეზი, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ საკმაოდ არის რაიონები, სადაც მარცვლეულის მეტისმეტად მცირე მოსავალს იღებენ საშუალოდ ჰექტარზე. მაგალითად, იმის გამო, რომ შარშან ნიადაგი ცუდად დამუშავეს, გვიან დათესეს და ნათესებს მოვლასაც ხელი დააკლეს, ბოლნისის, თეთრი წყაროს და სამხრეთ ოსეთის მეურნეობები საშემოდგომო ხორბლის ჰექტარობრივი მოსავლიანობით მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ რესპუბლიკურ საშუალო დონეს, ხოლო ამ მაჩვენებლის მხრივ ბოლნისელ და თეთრწყაროელ მემინდვრეებს მეზობელმა მარნეულელმა თანამოსაქმეებმა 13-14 ცენტნერით გაუსწრეს.

უფრო შემაშფოთებელი კი ის არის, რომ თეთრ წყაროში, ბოლნისში, სამხრეთ ოსეთში, და არა მარტო ამ რაიონებში, შარშანდელი ხარვეზები წლეულსაც განმეორდა. თეთრ წყაროში აგროწესებს დარღვევით დამუშავდა 1700 ჰექტარი საშემოდგომო ხორბლისათვის, 3000 ჰექტარზე დაითესა მეორე კლასის თესლი (ნაცვლად პირველი კლასისა), აქ არც სასუქების გამოყენებას დაუომეს ჯეროვანი ყურადღება.

ყოველივე ეს არ მოხდებოდა, ზემოხსენებული რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სახალხო კონტროლიორები მეტი გულისყურით რომ ეკიდებოდნენ აგროტექნიკური სამუშაოების კომპლექსის დროულად და ხარისხიანად შესრულებას. არც ის მოხდებოდა, რომ შარშან ამ რაიონებში 40-50 კალენდარულ დღეს გაჭიანურდა ალოობა, რის გამოც უკვე მოწეული დიდძალი მარცვლეული დაკარგა სახელმწიფომ.

წლეულს სერიოზული სიძნელეების დაძლევა მოუხდათ რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებს, ვინ იცის, კიდევ რა სიურპრიზს გვიმზადებს ბუნება, მაგრამ უკან დასახევი გზა არ არის, ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელს მემინდვრეებმა 182 ათასი ტონა მარცვლეული უნდა ჩაბარონ სახელმწიფო ბელლებს.

ამ პასუხსაგები ამოცანის რეალიზაციაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მარცვლეულის წარმოების ყველა რგოლის დისციპლინის უმკაცრესმა განმტკიცებამ. უაღრესად სერიოზულ ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებს წლეულს 10 ათას ჰექტარზე სიმინდის თესვა-მოყვანის ახალი ტექნოლოგიის დანერგვის საქმე. ეს განსაკუთრებით ეხებათ აფხაზეთის მემინდვრეებს, რომლებიც სიმინდის თესვას მეტისმეტად აყოვნებენ.

ამას წინათ გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „1980 წლის მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და 1980-81 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გაზამთრების უზრუნველყოფის დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“ სოფლის და მოსავლის აღებასთან დაკავშირებულ ყველა მშრომელს, სპეციალისტსა და ხელმძღვანელ მუშაკს აკისრებს დროულად და კოდპალქსურად გადაწყვეტილ ალოობისათვის მზადების ყველა საკითხი.

ალოობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ადამიანების, ტექნიკის, სხვა რესურსების უნარიან გამოყენებაზე. ამ საქმეში მეურნეობებს უნდა დაეხმარონ პარტიული ორგანიზაციები, ისინი დღეიადაგ უნდა ზრუნავდნენ შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, მორალური და მატერიალური სტიმულების სწორი გამოყენებისათვის, იმისათვის, რომ საჯარო იყოს შრომითი შეჯიბრება, ზუსტად მოქმედებდნენ მოსავლის დამბინავებელი რაზმები, კომპლექსები, განუხრელად ხორციელდებოდეს ტექნოლოგიური ოპერაციები.

ამ მხრივ თავიანთი მოვალეობის სწორი გაგების მაგალითს გვიჩვენებენ საგარეჯოელი კომუნისტები, რომლებმაც ფართოდ გაშალეს მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ხუკეთესო ვადებში და უდანაკარგოდ მოსავლის ასაღებად, პირუტყვისათვის მაღალხარისხოვანი უხვი საკვების დასამზადებლად. აქაურმა მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს ალოობის ყველა სამუშაო წარმართონ ზუსტად გრაფიკის მიხედვით, არც ერთი მათგანი არ წავა მინდვრიდან, სანამ არ შეასრულებს დღიურ დავალებას, რომელიც 12-15 ჰექტარის მკას ითვალისწინებს.

ალოობა მთელი წლის გარჯის გვირგვინია, ამ პასუხსაგები კამპანიის წარმატებით დასრულება, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღება სოფლის მშრომელთა საპატიო მოვალეობაა. ამ ვალის მოსახდელად საქმიანად, შემოქმედებითად, ორგანიზებულად უნდა გაისარჯონ ჩვენი მხვნელ-მთესველები და მექანიზატორები.

საქმეში გამოიჩინა

„საქსახსოფლტექნიკის“ თელეთის ექსპერიმენტული ქარხნის ტექნიკური მომსახურების სადგურის ელექტროძრავების გადამხვევ საამქროში მეოთხე წელია მონდომებით შრომობს ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი ვალერიან გაბისონია, რომელიც ყოველთვიურად გეგმებს 120-130 პროცენტით ასრულებს

სურათზე: ელექტროძრავების გადამხვევი ვ. გაბისონია.

ვ. გენგიურის ფოტო.

საუბარი კრემლში

30 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი შვეიცის საგარეო საქმეთა მინისტრი უ. ულსტენი.

საუბრის დროს, რომელმაც საქმიან ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-შვეიცის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა სსრ კავშირსა და შვეიცას შორის არსებული მყარი კეთილმეზობლური ურთიერთობის გამო, ხაზგასმით აღინიშნა სხვადასხვა სფეროში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების მისწრაფება საბჭოთა და შვეიცარიის ხალხების ინტერესებისათვის.

საერთაშორისო პრობლემების განხილვამ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი და შვეიცია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტასა და განიარაღების რეალურ ღონისძიებებზე გადასვლას.

(საკდესი).

სოციალისტური ხელოვნების პარტიულობისათვის, კლასობრიობისათვის, ხალხურობისათვის!

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!

ამ სამახსოვრო დღეს, ხელოვნების დღესასწაულზე, ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მხურვალედ, ფილოსოფიურად მოგიღოცოთ და სულით და გულით მოგიძღვნათ მადლობა ყველას, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, საქართველოს საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მონაწილე — მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებო: ფერმწერებო და გრაფიკოსებო, მოქანდაკეებო და თეატრალურო მხატვრებო, ხელოვნებათმცოდნენო და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებო, მივესალმო ყველას, ვინც თავისი სიცოცხლე უძღვნა სოციალისტურ ხელოვნებას, ვინც თავის ნიჭს, ენერგიას, ცოდნას, აზრებსა და გრძნობებს ახმარს პარტიის საქმეს, კომუნიზმის საქმეს, გიურვოთ ყველას დიდი ბედნიერება და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი!

საქართველოს რესპუბლიკაში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკისა და ქვეყნის არა მარტო კულტურულ, არამედ მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, ვინაიდან ეს დღეები ეწყობა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავის ზეიმისათვის მზადების პროგრამით.

ხელოვნების დღესასწაული რესპუბლიკაში მიმდინარეობს მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ფონზე, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ხორცი შეასხან სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის ცნობილ საპროგრამო დადგენილებებს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მარტო მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესაბამისად 37,9 და 39,4 პროცენტით გაიზარდა. ეს მნიშვნელოვნად აღემატება ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულს. ამასთან, ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი — საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება ამავე პერიოდში 32,4 პროცენტით გაიზარდა საგეგმო 31 პროცენტის ნაცვლად.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული მაჩვენებლების მატების ტემპი საგრძნობლად აღემატება ანალოგიურ საშუალო საკავშირო პარამეტრებს.

საქართველო იმ რამდენიმე რესპუბლიკათაგანია, რომლებსაც მეათე ხუთწლედის პირველი ოთხი წლის შედეგები შესაძლებლობას აძლევს იმედი იქონიოს, რომ წარმატებით დამთავრებს მეათე ხუთწლედს.

მაგრამ ეს მხოლოდ შესაძლებლობაა, ხორცშესასხმელი შესაძლებლობა. ამიტომ რესპუბლიკას ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის ფრიად დაძაბული დავალებები, შემხვედრი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი აქვს შესასრულებელი.

საქართველოს კომპარტია დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა მათი რეალიზაციისათვის.

ხუთწლედის მიჯნების დაღაჭვრა თვითმიზანი როდია. ხუთწლედის შესრულება შესაძლებლობას გვაძლევს განვამტკიცოთ რესპუბლიკის ეკონომიკა, და კულტურა და მეტი წვლილი შევმატოთ საერთო-საკავშირო დოვლათს, სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას, ავამაღლოთ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონე.

1975-1979 წლებში მუშისა და მოსამსახურის ოჯახის ერთობლივი შემოსავალი რესპუბლიკაში 12 პროცენტით გადიდდა, კოლმეურნის ოჯახისა — 1,4-ჯერ გაიზარდა.

მთლიანად კი რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მიმდინარე წლის ოთხ წელიწადში გადიდდა 24,5 პროცენტით, ხოლო 1972 წელთან შედარებით — 33 პროცენტით.

მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებამ განაპირობა ის გარემოება, რომ ახლა ოჯახები, უწინარეს ყოვლისა ოჯახები მეტ სახსრებს ახმარენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მაგალითად, ეს ხარჯები მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების მიხედვით 1979 წელს 1975 წელთან შედარებით გადიდდა 7,2 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა ოჯახების მიხედვით — თითქმის 37 პროცენტით.

ეკონომიკაში მომხდარი ამ და სხვა ძვრების შედეგად მშრომელებს ახლა გაცილებით მეტი მატერიალური შესაძლებლობანი და თავისუფალი დრო გაუჩნდათ, რათა დაიკმაყოფილონ კულტურულ-ესთეტიკური მოთხოვნილებანი, აქტიურად ეზიარონ მშვენიერების სამყაროს, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს, გაეცნონ კულტურის კერებს.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 1979 წელს 1969 წელთან შედარებით თეატრებში, კინოთეატრებში, სამხატვრო გალერეებში, გამოფენებზე, მუზეუმებში 10 ათას სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1,5-ჯერ მეტი ხალხი დადიოდა.

მაინც რა არის იმ წარმატებათა მიზეზი, რომლებსაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მივაღწიეთ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ? ეს წარმატებანი, უწინარეს ყოვლისა

(დასასრული მე-2 გვ.)

საკდესის ცნობა

ერთობლივი კვლევა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 29 მაისი. (საკდესი). მეორე დღეა „სალუტ-6“-„სოიუზ-35“-„სოიუზ-36“ ორბიტული კომპლექსში მუშაობს საერთაშორისო ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან ლეონიდ პოპოვი, ვალერი რიუმინი, ვალერი კუბასოვი და ბერტალან ფარკაში.

ნასაუზმევს და კომპლექსის საბორტო სისტემების შემოწმების შემდეგ კოსმონავტებმა გაგრძელეს დაგეგმილი კვლევა და ექსპერიმენტები.

გარემოს შესწავლის მიზნით ხორციელდება ექსპერიმენტი „ბიოსფერო“, რომლის დროსაც კოსმონავტები ვიზუალურად აკვირდებიან და ფოტოსურათებს უღებენ დედამიწის ზედაპირსა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიას, ატმოსფეროს მტვრითა და კვამლით გაჭუჭყიანებას, სხვადასხვა მეტეოროლოგიურ მოვლენას.

საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მთელი რიგი ერთობლივი გამოკვლევები კოსმოსურ მასალათმცოდნეობაში. დანადგარ „ერისტალზე“ მოეწყო ტექნოლოგიური ექსპერიმენტი „ეტვეშე“, რომელიც გულისხმობს მიკროგრავიტაციის პირობებში გალიუმარსენიდის ნახევრადგამტარი მასალის ჭრომით ლეგირებული მონოკრისტალის გამოზრდას. ნამუადღევს დაიწყება დანადგარ „შენადნობზე“ ექსპერიმენტი „ბეალუცა“.

სამედიცინო კვლევის პროგრამის შესაბამისად ჩასული ექსპედიციის ეკიპაჟი მოაწყობს უწონობაში მყოფი ადამიანის ქსოვილებში ჟანგბადის რეჟიმის შესწავლის ექსპერიმენტს.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ვალერი კუბასოვი და ბერტალან ფარკაში დედამიწაზე დაბრუნდებიან „სოიუზ-35“ ხომალდით. დასაბრუნებლად მისი მომზადების დროს კოსმონავტებმა დაშალეს „სოიუზ-36“ ხომალდში სავარძლების ლოდინმენტები და დააყენეს ისინი „სოიუზ-35“ დასაშვებ აპარატში. ეკიპაჟმა შეცვალა აგრეთვე საფრენი სკაფანდრები და სხვა ინდივიდუალური აღჭურვილობა.

ამ საღამოს კოსმონავტებს დაგეგმილი აქვთ მოაწყონ კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია, რათა უზრუნველყონ მისი გაფლა საბჭოთა და უნგრელი კოსმონავტების დაშვების გათვალისწინებულ რაიონში. კორექცია მოხდება „სოიუზ-35“ ხომალდის ძრავის დანადგარის საშუალებით.

ორბიტიდან მიღებული მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, სალუტ-6“-„სოიუზ-35“ „სოიუზ-36“ სამეცნიერო კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

ამხანაგები პოპოვი, რიუმინი, კუბასოვი და ფარკაში თავს კარგად გრძნობენ.

(საქინფორმი).

სოციალისტური ხელოვნების პარტიულობისათვის, კლასობრიობისათვის, ხალხურობისათვის!

(დასასრული)

იმან განაპირობა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ შეძლო უზრუნველყო ძირეული შემობრუნება ეკონომიკის საჭირბოროტო პრობლემებისაკენ. სამეურნეო მშენებლობისან და სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხები რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში დადგა.

ეკონომიკის პარტიული ხელმძღვანელობა, ეკონომიკური სტრატეგიისა და ტაქტიკისადმი ლენინური მოთხოვნების შესაბამისად, ემყარება სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების შეხამებასა და სწორ თანაფარდობას. აქ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნად გვევლინება როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით **მთავარი მიმართულებების, გადამწყვეტი უბნებისა და საკვანძო პრობლემების და რგოლების შერჩევა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოცემული ეტაპის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა,** დასახული ამოცანების გადაწყვეტის ოპტიმალური გზებისა და მეთოდების **შემუშავება კომპლექსური პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის** საფუძველზე.

როგორც ცნობილია, მომწიფებული სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა არა მარტო სახალხო-სამეურნეო თუ სოციალურ-პოლიტიკური, არამედ აგრეთვე კულტურული პრობლემების კომპლექსური გადაჭრა.

ეკონომიკა და კულტურა, ბაზისი და ზედნაშენი დიალექტიკურად ერთიანნი არიან, ეკონომიკის განვითარების სტრატეგიასა და ტაქტიკას ვერ შევიმუშავებთ, თუ კულტურის განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა არ განვსაზღვრეთ.

საბჭოთა ხელოვნება სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაა, და მაშასადამე, მაღალიდეური და მაღალმხატვრული ხელოვნებაა. ჩვენი ხელოვნების ფილოსოფია—კომუნიზმის ფილოსოფია, სოციალიზმის ოპტიმიზმის ფილოსოფია, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ფილოსოფიაა.

ჩვენი ხელოვნების დროშაზე პარტიამ ლენინის ხელით წაანერა უკვდავი პრინციპები: კლასობრიობა! ხალხურობა! პარტიულობა!

ეს ჩვენი კრედო, ჩვენი მრწამსის სიმბოლო, ჩვენი საბრძოლო ლენინური ლოზუნგია! ამ სიტყვებში გამოსჭივივის რევოლუციური ხელოვნების უშრეტი სოციალისტური ოპტიმიზმი.

ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურის დეიდეოლოგიზაციისა და დეპოლიტიზაციის ლოზუნგი შეუთავსებელია ჩვენს პრინციპებთან. და არა იმიტომ, თითქოს ეს ვისიმე ახირება, ვისიმე კონსერვატიული დებულება იყოს, არა! თვით რევოლუციური ხელოვნების შინაგანი ლოგიკა მოითხოვს მის კლასობრიობას, ხალხურობას, პარტიულობას.

ლენინმა თავის გენიალურ წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" სამართლიანად შენიშნა, რომ თანამედროვე ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც ორი ათასი წლის წინათ. იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნებაზეც, იგი დღეს, მეორე ათასწლეულის დამლევს, ისევე პარტიულია, როგორც 20 საუკუნის წინათ.

ის ფაქტი, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ლიტერატურულ ჟანრს, მხატვრულ სიტყვას მიმართა და დაწერა შესანიშნავი ტრილოგია „მცირე მიწა" „აღორძინება", „ყამირი", რომლებიც სოციალისტური მშენებლობის უმდიდრეს ისტორიას ასახავს და ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის დიად პანორამას, ყამირულთა გმირობას გვიჩვენებს, — მრავლისმეტყველია. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტია ლიტერატურასა და ხელოვნებას, მათ როლს ადამიანთა გონებისა და სულიერი სამყაროს სრულყოფისათვის ბრძოლაში.

დიადი ლენინური თეორიული და პრაქტიკული მემკვიდრეობის, სკკპ ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, პოლიტბიუროს გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებების, გამოსვლების, სოციალისტური ხელოვნების თეორეტიკოსთა შრომების შემოქმედებითი გააზრების საფუძველზე პარტიამ განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე კულტურის პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი **სტრატეგიული მიმართულებანი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, წარმართავს რა ჩვენი დღეების მხატვრული კულტურის წინსვლას, იმას ითვალისწინებს, რომ: **ჯერ ერთი,** საჭიროა შევქმნათ ოპტიმალური ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, სულიერი წანამძღვარები ფორმით ეროვნული, სულისკვეთებით ინტერნაციონალისტური, შინაარსით სოციალისტური მხატვრული კულტურის, მათ შორის, სახვითი ხელოვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

მეორე, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ტალანტებთან მუშაობას შემოქმედებითი პროცესის თავისებურებებისა და შემოქმედის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით.

ლენინი და პარტია ყოველთვის გვაფრთხილებდნენ, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან მუშაობას მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას, გულისხმიერ, კეთილმოსურნე დამოკიდებულებას ტალანტებისადმი. ამიტომ მხატვრული ინტელიგენციის ადრეული ჩამოყალიბება და აღზრდა, მათი შემოქმედების ანალიზი და პროპაგანდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში დგას.

მესამე, საქართველოს კომპარტია ახორციელებს ღონისძიებათა კომპლექსს, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს სოციალისტური რეალიზმის პოზიციები, დაამკვიდროს ჩვენი ხელოვნების განვითარების მაგისტრალური ხაზი — პარტიულობის, კლასობრიობის, ხალხურობის პრინციპების საფუძველზე — მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის სულისკვეთებით, იმ მიზნით, რომ შეიქმნას ჩვენი ხალხისა და ჩვენი ეპოქის შესაფერისი მაღალიდეური და მაღალმხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ნანარმოებები.

მეოთხე, საქართველოს კომპარტია ისევე როგორც მთლიანად პარტია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ საქმეს, რომ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, საზოგადოების ყველა სოციალური ფენა ეზიაროს კულტურას, შემოქმედებას.

მეხუთე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა ყველა პირობა შეიქმნას კულტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის, იმისათვის, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს შეეძლოს თავისუფლად ეცნობოდეს ეროვნული და მსოფლიო კულტურის მხატვრულ მარგალიტებს.

კულტურის დარგის ეს სტრატეგიული ამოცანები გათვალისწინებულია რესპუბლიკისა და მისი რეგიონების ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების ყველა კომპლექსურ გეგმაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ყველა გადაწყვეტილებაში კულტურის საკითხებზე.

ასეთი გახლავთ მხატვრული კულტურის ხელმძღვანელობის დარგში ჩვენი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

სახვითი ხელოვნების დარგში პარტიის გენერალური ხაზი — ეს არის ერთი მხრივ, მაქსიმალურად ხელშეწყობი პირობების შექმნა ჩვენი მხატვრების შემოქმედების იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, სულიერი დონის ამაღლებისათვის და, მეორე მხრივ, ხელოვნების, როგორც კომუნისტური იდეალების პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალების როლის დამკვიდრება. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ფუნდამენტურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები, რომლებიც ეხება საქართველოს კომპარტიის ამოცანებს იდეოლოგიური, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობას, ლიტერატურულ-მხატვრულ კრიტიკას (1972 წლისა), საქართველოს მხატვართა კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების და მხატვართა შემოქმედებითი შრომის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებს (1974 წლისა), კულტურის დაწესებულებებში პარტიული კონტროლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას (1973 წლისა), სახალხო სამხატვრო სარეწებს (1975 წლისა), ძეგლებისა და სკულპტურული კომპოზიციების აგებას (1978 წლისა) და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი გვაქვს.

რაღა დასამალია და ზოგჯერ რაიკომების, საქალაქო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პროცესებს უნდა უძღვებოდნენ, მთლად პროფესიულ დონეზე ვერ ერკვევიან ამ პროცესების მართვის არსში; მეორე მხრივ, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთი მუშაკი ყოველთვის არ იჩენს სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნების, პარტიულობის, კლასობრიობის, ხალხურობის პრინციპების ჭეშმარიტ გაგებას.

ირღვევა კომუნიკაბელობა, ურთიერთგაგება.

რატომ ხდება ასე?

ჯერ ერთი, ეს აიხსნება იმ პარტიული და საბჭოთა კადრების შერჩევაში, აღზრდასა და განაწილებაში დაშვებული ცალკეული შეცდომებით, რომლებიც მოწოდებული არიან ახორციელებდნენ კულტურის სფეროს ხელმძღვანელობას.

მეორე, როგორც კონკრეტული სოციალური გამოკვლევები გვიჩვენებს, — ეს აიხსნება ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ცალკეული ჯგუფების არასაკმარისი მარქსისტულ-ლენინური წრთობით, შემოქმედ ინტელიგენციას შორის პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებით.

სად არის გამოსავალი?

ამას წინათ გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კადრებთან მუშაობის კარდინალური გაუმჯობესების საკითხებზე. შემუშავებულია მოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი აგრეთვე შემოქმედ ინტელიგენციასთან მუშაობის კომპლექსური გაუმჯობესების შესახებ.

ამოცანები უაღრესად ზუსტად არის განსაზღვრული. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია პარტიული ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირების პრაქტიკულ მოღვაწეობაზე.

სულიერი ცხოვრების სფეროსადმი პარტიული ხელმძღვანელობა — ეს დიდი მეცნიერება და დიდი ხელოვნებაა. იგი ხელმძღვანელისაგან მოითხოვს დიდ კომპეტენტურობას, კულტურას, ტაქტს, გამოცდილებას და ცოდნას, პარტიულობას, ფართო თვალსაწიერს.

სოციალისტური კულტურა რთული, მრავალმხრივი მოვლენაა, იგი დინამიკურად და ყოველმხრივად ვითარდება. ცხოვრება აყენებს ახალ პრობლემებს, ახალ საკითხებს, რომლებიც მოითხოვენ სრულფასოვან პასუხს, მოითხოვენ კიდევ უფრო საფუძვლიანად, ღრმად გავიაზროთ თეორიული თვალსაზრისით პრობლემები და შესაბამისად — ახალი დასკვნები და დებულებები პოლიტიკაში, რომელიც კულტურის სფეროში ხორციელდება.

მხოლოდ ისეთი პოლიტიკა მოგვიტანს წარმატებას, რომელიც ზუსტ მეცნიერულ ფუნდამენტზე იქნება დაფუძნებული.

ამიტომ საქართველოს კომპარტია, ისევე როგორც მთლიანად ჩვენი პარტია, რესპუბლიკის სამეცნიერო და შემოქმედებითი ცენტრების მუშაობას წარმართავს სოციალისტური რეალიზმის თეორიის, პარტიულობის, კლასობრიობის, ხალხურობის პრინციპების გამოყენების თეორიისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარებისათვის მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის მხატვრულ კულტურაში, ისეთ პირობებში, როცა იშლება არსებითი განსხვავება კლასებს შორის, არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, როცა მუშათა კლასის პარტია და იდეოლოგია მთელი ხალხის პარტია და იდეოლოგია გახდა, როცა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიქცა და ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი სოციალური და ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

ეს სულაც არ არის მარტივი პროცესები და მათ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინონ ჩვენი დღეების ხელოვნების იდეურ შინაარსსა და მხატვრულ ფორმაზე, მათ შორის, სახვით ხელოვნებაზე.

საჭიროა, ერთი მხრივ, უფრო ინტენსიურად შევისწავლოთ ეს პროცესები თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, ვაქციოთ კვლევის შედეგები პოლიტიკის კუთვნილებად, რათა გავაუმჯობესოთ მხატვრული კულტურის ხელმძღვანელობა და, შესაბამისად, დავხვეწოთ ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, ხოლო, მეორე მხრივ, შევაჯამოთ კვლევის შედეგებით მხატვართა შემოქმედებითი ლაბორატორიები, რათა ამაღლდეს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების განვითარებაში მათი შეგნებული მონაწილეობის დონე.

საჭიროა კვლავაც ღრმად შევისწავლოთ მომწიფებული სოციალიზმის ეპოქის ინტერნაციონალური კულტურის განვითარების კანონზომიერებანი და დიალექტიკა, სოციალისტური ერების კულტურათა ურთიერთგამდიდრებისა და დაახლოების გზები, ფორმები და მეთოდები.

ჩვენი მხატვრების შემოქმედება — ეს არის ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი ძვრების შედეგი, ერებისა და ეროვნებების, მათი მატერიალური და სულიერი კულტურების აყვავებისა და დაახლოების ნაყოფი.

მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში ეროვნული და ინტერნაციონალური საწყისების დიალექტიკა ნაყოფიერ გავლენას ახდენს მხატვრულ ღირებულებათა შექმნის პროცესზე. ეს სოციალისტური ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ერთ-ერთი ჭარდინალური საკითხი გახლავთ.

ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ დღეს **ეროვნული** არათუ არ გამორიცხავს **ინტერნაციონალურს,** არამედ, პირიქით, სავსებით ლოგიკურად და კანონზომიერად გულისხმობს მას.

იგივე შეიძლება ითქვას ინტერნაციონალური ცხებაზეც. ინტერნაციონალური ნაციონალურს როდი გამორიცხავს. ამ დებულებას პირდაპირ კავშირი აქვს ფორმისა და შინაარსის დიალექტიკური ერთიანობის პრინციპთან. არც ეროვნული ფორმა არის მოკლებული ინტერნაციონალურ შინაარსს და არც ინტერნაციონალური შინაარსი არსებობს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებში ეროვნული ფორმის გარეშე.

პოლიტიკასა და ხელოვნებაში ძალზე საჭიროა განვასხვავებდეთ ნაციონალიზმს ეროვნული ფენომენისაგან, ინტერნაციონალიზმს — კოსმოპოლიტიზმისაგან.

სხვაგვარად ჩვენ არ გვექნება ჭეშმარიტი კრიტერიუმები და ორიენტირები.

ინტერნაციონალიზმი საბჭოთა ცხოვრების წესის ბირთვია. ინტერნაციონალიზმი ჩვენი კრედოა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენი მრწამსის სიმბოლოა.

საკაცობრიო მასშტაბის ეროვნული იდეებით მდიდრდება ინტერნაციონალიზმის საგანძური, ეროვნული თვითშეგნება ინტერნაციონალიზმის საგანძურში პოვებს ყოველივე ძვირფასსა და მისაღებს ერის განვითარებისათვის. ეს კანონზომიერი და ლოგიკურია როგორც ქართული კულტურის მიმართ, ისე ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების კულტურების მიმართაც.

ურთიერთგამდიდრების, ურთიერთგავლენისა და ურთიერთშეღწევის ამ ორი ერთარსი პროცესის გარეშე არ არსებობს არც ჭეშმარიტად ეროვნული, არც ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ფენომენი არც პოლიტიკასა და არც ხელოვნებაში.

ინტერნაციონალური **ზეეროვნული** კი არა, **ერთაშორისი** ფენომენია, ერთაშორისი მოვლენაა. იგი, როგორც ვთქვით, არამცთუ არ გამორიცხავს ნაციონალურ ფენომენს, არამედ უსათუოდ გულისხმობს მას. ინტერნაციონალიზმში თავისი წვლილი შეაქვს ყველა ერს არა თვითგათქვეფის მიზნით, როგორც ჩვენი იდეური მტრები ამტკიცებენ, არამედ ეროვნულ ღირებულებათა ისტორიული თვითდამკვიდრების მიზნით, პარტიის საქმის, კომუნიზმის საქმისადმი სამსახურის მიზნით. ასე ესმის ეს კონცეფცია ჩვენს პარტიას.

ინტერნაციონალიზმი, ხალხთა მეგობრობა და ძმობა მთელი ჩვენი ისტორიის, ჩვენი კულტურის ლაიტმოტივია.

საქართველომ თავისი მრავალსაუკუნოვანი გმირული და ტრაგიკული ისტორიით, აურაცხელი მსხვერპლის ფასად, არაერთი თაობის საუკეთესო მამულიშვილთა სიცოცხლის ფასად მოიპოვა და დაამკვიდრა ინტერნაციონალიზმი, როგორც თავისი ეროვნული ცხოვრების უზენაესი ფორმა. და იგი არასდროს არ გადაუხვევს ამ პოზიციებს — ისტორიითა და რევოლუციით შემოწმებულ ინტერნაციონალურ პოზიციებს.

ქართველი ერის, ისევე როგორც ყოველი სხვა ერის, მისი ეკონომიკის, სახელმწიფოებრიობის, კულტურის, მისი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, მათ შორის სახვითი ხელოვნების, ნამდვილი ისტორია — ეს არის ჭეშმარიტად ეროვნული ფენომენის ფორმირების, ჩამოყალიბებისა და განვითარების, ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ მწვერვალებამდე ამაღლების ისტორია, ისტორია ერის მატერიალური და სულიერი კულტურის სინთეზისა, რომელიც არაერთ ათასწლეულს ითვლის.

ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ამაღლებული, ყველაზე მშვენიერი, რაც კი რამ შეუქმნიათ ქართველ დიდოსტატებს, — ხუროთმოძღვრების შედევრები: ქალაქები, ტაძრები, ციხეკოშკები, ფრესკები, ლეგენდარული არსაკიძის არქიტექტურული გენია; აღორძინების ეპოქის ოქრომჭედლების — ოპიზრების ქმნილებები, V საუკუნის საქვეყნოდ ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერიელის ფილოსოფიური შედევრები, რუსთაველის გენიალური პოემა და ფილოსოფიური აზროვნება, რომელიც აღმოსავლეთის რენესანსის დაბადებას მოასწავებდა დანტე ალიგიერიმდე ასი წლით ადრე, დავით გურამიშვილის ნაწარმოებები, რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის სიმბოლოდ რომ იქცა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონ ტაბიძის, ფალიაშვილისა და ფიროსმანის, გუდიაშვილისა და ნიკოლაძის უკვდავი ქმნილებები, სხვა უთვალსაჩინოესი ღირებულებანი ჩვენი ხალხის ეროვნულ ენერგიასა და ნიჭს რომ შეუქმნია, — ეროვნულ ქმნილებებად რჩება და ამავე დროს ამდიდრებს ხალხთა ინტერნაციონალურ საგანძურს. ასევე, ქვეყნისა და მსოფლიოს ყველა ხალხის საუკეთესო ეროვნული ქმნილებები ქართველი ხალხის ეროვნული და ინტერნაციონალური კუთვნილება ხდება.

ჩვენი ხალხის ისტორია, ხატოვნად რომ ვთქვათ, იმ ერის ისტორიაა, რომლის გუთნისდედებს — ხალხის მარჩენლებს საუკუნეთა მანძილზე ცალ ხელში მახვილი ეჭირათ, ცალით კი გუთანი ეჭირათ, რომლის მხატვრებს — ხალხის სულიერ მოძღვართ, — ცალი ხელით ფუნჯი ან საჭრეთელი ეკავათ, ხოლო მეორით — შურისგების მახვილი, და იგერიებდნენ რომაელთა ურიცხვ ლეგიონებს, შემოსიელ ბიზანტიელ და არაბ დამპყრობლებს, სპარსელ და ოსმალ დამმონებლებს...

ხალხი სისხლით იცლებოდა, ფიზიკური და სულიერი განადგურება ემუქრებოდა.

ასე იყო არაერთი საუკუნეების მანძილზე, სანამ 1783 წელს საქართველომ და რუსეთმა ხელი არ მოაწერეს ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველ მანიფესტს, რომელიც ისტორიაში გეორგიევსკის ტრაქტატად არის ცნობილი.

დიდი რუსი ძმის მოსვლის შემდეგ ჩვენს მიწა-წყალზე ნანატრმა მშვიდობამ დაისადგურა. ერი ფიზიკურად და სულიერად აღორძინდა.

რესპუბლიკა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის სახელოვან იუბილეს ეგებება.

1983 წელს საქვეყნოდ აღინიშნება ისტორიული მოვლენის — გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის სახელოვანი მე-200 წლისთავი. ეს ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ლენინური მეგობრობის დიდი დღესასწაული იქნება.

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ამ სახელოვანი იუბილესათვის საქმიანად ემზადებიან ჩვენი მხატვრები.

რუსეთთან საქართველოს ისტორიული შეერთების შემდეგ ქვეყანაში, რომელიც ფიზიკური განადგურების, სულიერი კულტურის დაკნინების პირას იყო მისული, ქართულ ხელოვნებაში რუსეთის კულტურასთან ურთიერთგამდიდრების ახალი ეტაპი დაისახა.

ილია რეპინს, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვდა თბილისში სამხატვრო სკოლის გახსნას, საქართველოს ენთუზიასტ მხატვართა შემოქმედებამ 1897 წელს ათქმევინა: „მე მჯერა, რომ კავკასიას მხატვრობის ხანა წინ უდევს. კავკასიაში საუკუნო აგონიით იტანჯებოდა პრომეთეუ. მისი წმინდა ცეცხლი გამოაწრთობს და შთაბერავს მძლავრ სულს შემოქმედის რჩეულთა".

ახდა დიდი რეპინის წინასწარმეტყველური სიტყვები.

ოქტომბრის რევოლუციის გამწმენდმა ქარიშხალმა რეალური საფუძველი შეუქმნა ქართული ეროვნული კულტურის განვითარებას.

საქართველოს მუდამ უწოდებდნენ პოეტების ქვეყანას. ვფიქრობ, დღეს მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მხატვართა ქვეყანაც. მარტო მხატვართა კავშირში ათასამდე მხატვარია გაერთიანებული. 400 კაცი ახალგაზრდულ გაერთიანებაში ირიცხება. კავშირის წევრთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები, სსრ კავშირის და რესპუბლიკის სახალხო მხატვრები, ლენინური და სახელმწიფო პრემიების, საკავშირო კომკავშირისა და საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატები.

ბევრი სახელოვანი ფურცელია საბჭოთა საქართველოს ხელოვნების ისტორიის მატიანეში. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი.

1921 წლის 21 სექტემბერს ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის შესაყარზე საზეიმოდ გახსნეს ვ. ი. ლენინის მონუმენტი — რუსეთიდან ჩამოსული მოქანდაკის ვ. სერგეევის ნამუშევარი. ეს ჩვენს ქვეყანაში პირველი ლენინის ძეგლი იყო.

1927 წელს საქართველოს ელექტროფიკაციის პირმშოს — ზაჰესის კაშხალთან აღიმართა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ლენინის მონუმენტი, რომელიც გამოჩენილ რუს მოქანდაკეს ი. შადრს ეკუთვნის.

ქართული ლენინიანის ბრწყინვალე ფურცელია იაკობ ნიკოლაძის მრავალი წლის მუშაობა ვ. ი. ლენინის სახის ქვაში აღადგენისათვის. ლენინური ციკლის უკანასკნელი ნაწარმოები — „ვ. ი. ლენინი — „ისკრის" შემქმნელი" ნიკოლაძემ 1947 წელს დასრულა. ამ ნამუშევარს — უმაგალითოდ დაძაბული შრომის შედეგს — სახელმწიფო პრემია მიენიჭა და იგი ქართველმა ხალხმა საჩუქრად უძღვნა მოსკოვის მშრომელებს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მე-800 წლისთავის დღესასწაულობაზე.

როცა ვაანალიზებთ ქართველი მხატვრების საერთო წვლილს მხატვრული ლენინიანის შექმნაში, მათს მონაწილეობას გამოფენებში „დიდება შრომას", „ხუთწლედის მხარდამხარ", „ხალხთა მეგობრობა", „ხელოვნებისა და შრომის კავშირი", მთელი პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხატვრები ისწრაფვიან მხარი აუბან დროებას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ პროცესებში. სამშობლოს სადიდებელი, შრომის საგალობელი, ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის ჰიმნი — აი ყველა იმ გამოფენის ლაიტმოტივი, რომლებიც უკანასკნელ ხანს შექმნილი ნამუშევრების თავისებურებას განსაზღვრავენ. და ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ ამ წარმატებებს. მხატვართა მზარდ მოქალაქეობრივ აქტიურობას.

ახალგაზრდობა საზოგადოების მომავალია. ჩვენი ხელოვნების მომავალს კი სამხატვრო აკადემიის ახლანდელი სტუდენტები, სამხატვრო სასწავლებლებისა და სკოლების დღევანდელი მოწაფეები შეადგენენ. კარგია, რომ საქართველოს მხატვართა კავშირი და მისი ახალგაზრდული გაერთიანება ამუშავებენ ახალგაზრდა მხატვრებისადმი სოციალური შეკვეთების სისტემას, აკომპლექტებენ შემოქმედებითს ჯგუფებს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში. ეს არა, მარტო სტიმულს აძლევს და წარმართავს ახალგაზრდა შემოქმედთა ზრდას, არამედ ფართოდაც აბამს მათ საზოგადოებრივ პროცესებში, ხელს უწყობს შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პოზიციების გამომუშავებას.

ახალგაზრდების საუკეთესო ნამუშევრებს კომკავშირის პრემიები ენიჭება. მნიშვნელოვანია მათი წვლილი კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის, ენგურპესის, ბამის სხვადასხვა ობიექტის გაფორმებაში. როცა ხელოვანი კარგად იცნობს ცხოვრებას, იცის, რა უჭირთ თუ ხელიხინთ მეცხვარეებსა და მშენებლებს, მეჩაიეებსა და მევენახეებს, ეს არა მარტო ამდიდრებს მხატვრის პალიტრას, შემოქმედებას, არამედ ეხმარება კიდეც უფრო ღრმად ჩასწვდეს თანამედროვეობას, დღევანდელობის რიტმებს.

როცა მშრომელი ადამიანების, საწარმოო თემისადმი მიძღვნილ მხატვართა ნამუშევრებს ვაანალიზებთ, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მშენებლობებზე მივლინების შედეგად შექმნილ ნაწარმოებთა შორის ჯერ კიდევ საკმაოდ არის ზერელე ნამუშევრები, რომლებშიც მხატვრებს თემის აქტუალობის მიღმა ვეღარ აუსახავთ მშრომელ ადამიანთა მშვენიერება და ზნეობრივი ძალა. აქ გარეგნული ეფექტის მიღმა ხშირად იმალება კონიუნქტურა, მუშტრული მიდგომა ხელოვნების ამოცანებისადმი.

უდავოდ დასაგმობია ის ამბავი, რომ ზოგიერთ რაიონში დგამენ ძეგლებს, რომლებიც რაღაც ნაცოდვილევი და ყოვლად არაპროფესიული ორიგინალის ტყუპის ცალებს წაგვანან. მოაზღვავეს მდარეხარისხოვანი პროდუქცია აგრეთვე ისეთ საჭირო და დიდმნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის სუვენირების წარმოება.

მეტ ყურადღებას მოითხოვენ სახალხო სარეწები, ხელმარჯვეთა დაოსტატებისა და აღზრდის სისტემა, რომლებიც ძველთაძველ ტრადიციებს განაგრძობენ, ხშირად ხელმარჯვე ოსტატის წოდებას იჩემებს ბალახტარა ხელოსანი, „ოქრომჭედლობა" შემოსავლის წყაროდ რომ გაუხდია და გაუვსია თავისი უგემოვნო ჭედურობით ყველა სალონი და მაღაზია.

ნაკლები ყურადღება ეთმობა სატირას, პოლიტიკურ პლაკატს, ჯერ კიდევ აკლია საჭირო ეფექტიანობა მხატვრების საქმიანობას საგამომცემლო დარგში, მათს მუშაობას საბავშვო-საყმაწვილო წიგნის გაფორმებაში.

მთლად სახარბიელოდ ვერა გვაქვს ვერც ბაღ-პარკების, ქუჩებისა და საკვანძო ეფექტიანობა მხატვრების საქმიანობას საგამომცემლო დარგში, მათს მუშაობას საბავშვო-საყმაწვილო წიგნის გაფორმებაში.

მთლად სახარბიელოდ ვერა გვაქვს ვერც ბაღ-პარკების, ქუჩებისა და საკვანძო, ეფექტიანობა, ქალაქის უბნების, სახარმოთა დაწესებულებათა ტერიტორიის მხატვრული გაფორმების საქმე.

ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ფაბრიკა, ქარხანა, სასწავლებელი, ნებისმიერი შრომითი კოლექტივი შესაბამისი ესთეტიკური ღირებულებითი ორიენტაციის, მისი წევრების აქტიური სულიერი აღზრდის გარეშე. ამიტომ თითოეულ შრომითს კოლექტივს მხატვარი, შემოქმედი ისევე სჭირდება როგორც ინჟინერი, ფსიქოლოგი, დამრიგებელი, სოციოლოგი, პედაგოგი, მუსიკოსი!...

ჩვენ მხედველობაში გვყავს აქტიური სოციალურ პოზიციაზე მდგომი მხატვარი, ადამიანი, რომელსაც მასებში შეაქვს არა მარტო ფუნჯისა და საჭრეთლის ქმნილებები, არამედ აგრეთვე ჩვენი დღეების ცოცხალი ესთეტიკური და პოლიტიკური აზროვნება. მარტოდენ პური არსობისა კი არ ასულდგმულებს ადამიანს, მეტადრე ჩვენს თანამედროვეს, რომლის ჰამონიული განვითარება კომუნისტური აღზრდის უპირველესი ამოცანაა.

ჩვენ მოველით, რომ ჩვენი მხატვრები პირნათლად შეასრულებენ ამ მისიასაც, რომელიც მათ პარტიამ, ხალხმა, ეპოქამ დააკისრა.

ეს დიდი პოლიტიკის საკითხია.

მხატვრებს მოელის თბილისის ბევრი რაიონი. ჩანს დადგა დრო შევიმუშაოთ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მხატვრული გაფორმების ერთიანი გეგმა. საქართველოს მხატვართა კავშირი უკვე შეუდგა კომპლექსურ სამუშაოთა შესრულებას, სადაც ფართოდ იყენებს სახელმწიფო შეკვეთების ანალ ფორმებს მთელი კოლექტივებისათვის, რომლებშიც ერთიანდებიან არქიტექტორები, მხატვრები, მონუმენტალისტები, დიზაინერები, სწავლულები, ისინი, ვის წინაშეც დასახულია ენგურჰესის, წყალტუბოს, რუსთავისა და სხვა ქალაქების იდეურ-მხატვრული გაფორმების ამოცანა. ასეთი ჯგუფები უნდა შეიქმნას აგრეთვე საქართველოს დედაქალაქში და თუმცა ჩვენ უკვე შეძენილი გვაქვს ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციის კომპლექსურ სამუშაოთა დადებითი გამოცდილება (ბარათაშვილის ქუჩა, რიყე). ბევრი რაინონი, პროსპექტი, ახალი მასივების ქუჩები შემოქმედთ მოელიან.

თვისებრივად გასაუმჯობესებელია ჩვენი მხატვრული კრიტიკა. სამწუხაროდ, ჩვენი ხელოვნებათმცოდნენი, ძირითადად, ძველი ხელოვნების ფუნდამენტური შესწავლით არიან დაკავებულნი, ცოტას წერენ თანამედროვე მონუმენტური და სადაზგო ფერწერის საჭირ

ინტერნაციონალიზმი საბჭოთა ხელოვნების აღმშენებლობის ძალა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მზატვართა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი

კრინციპული და შინაარსიანი, პარტიულობის, ხალხურობის, კლასობრიობის პოზიციებიდან გამართული დიალოგით დამთავრდა საქართველოში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები. ფუნჯისა და სპრეიერის წამყვანმა ოსტატებმა პლენუმის ტრიბუნიდან ილაპარაკეს თავიანთ მოვალეობაზე დროსა და ხალხის წინაშე, ბუნებით ინტერნაციონალური საბჭოთა ხელოვნების წინაშე.

მრავალეროვნული საბჭოთა სახვითი ხელოვნების აქტუალურ საკითხთა განხილვა მჭიდროდ იყო დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის ამოცანებთან, იმასთან, რომ უფრო სრულად და სწორედ იქნეს გამოყენებული საბჭოთა კულტურის აღმშენებლობითი, ცხოველმყოფელი ძალა კომუნიზმის მშენებლობა ახალი თაობების აღზრდაში.

— ინტერნაციონალიზმი ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანისტური სოციალური იდეაა და ხელოვნების ამდენელი ნაწარმოები, — თქვა პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ნ. ა. პონომარიოვმა, — ყოველთვის ინტერნაციონალურია. თუ მას აქვს ესთეტიკური და ობიექტურ-შემეცნებითი ღირებულება. თუ მისი პათოსი ჰუმანურია, ასეთი ნაწარმოები მარტო ერთ ეროვნულ კულტურას როდი ეკუთვნის, იგი საკაცობრიო კუთვნილებაა.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების ინტერნაციონალური მნიშვნელობა ის არის, რომ ეს მოწინავე, ღრმა იდეური შინაარსით აღსავსე ხელოვნება ისახავს დროის აქტუალურ პრობლემებს და წყვეტს მათ მკაფიო ეროვნული ფორმით. შემსწავლებელმა მოიყვანა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები:

„...ჩვენში შეიქმნა და აყვავდა სოლისტკვეთებთა და პრინციპული შინაარსით ერთიანი საბჭოთა სოციალისტური კულტურა. ეს კულტურა შეიცავს ჩვენი სამშობლოს თითოეული ხალხის კულტურისა და ყოფის ყველაზე ძვირფას თვისებებსა და ტრადიციებს. ამავე დროს ყოველ საბჭოთა ეროვნულ კულტურას ასაზრდოებს არა მარტო საკუთარი წყაროები, არამედ სხვა მომძე ხალხების სულიერი სიმდიდრეც და თავის მხრივ იგი კეთილნაყოფიერ ბალნარს ახდენს მათზე, ამდიდრებს მათ“.

ამ სიტყვების შესანიშნავი დადასტურებაა საბჭოთა საქართველოს ხელოვნების აყვავება — ყოველივე ის, რაც ჩვენ ვნახეთ აქ ამ დღეებში.

ჩვენი ქვეყნის თითოეული ერის, ყოველი ეროვნების მხატვრული მემკვიდრეობა და თანამედროვე ტრადიციები განუყოფელი ნაწილი გახდა საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრების, სოციალისტური კულტურისა, რომელიც ყველა ხალხის მიერ შექმნილ სულიერ ღირებულებათა ორგანულ შენადნობს წარმოადგენს.

ეს პროგრესული პროცესი დამახასიათებელია ჩვენი მრავალეროვნული სამშობლოს ყველა რესპუბლიკის სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი პრაქტიკისა და თეორიის განვითარებისათვის.

ყველა რესპუბლიკის საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებმა, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს და შეისისხლხორცეს თავისი ხალხის საუკეთესო ტრადიციები, ახალი, სოციალისტური შინაარსი შთაბერეს მათ.

ქართველი ხალხის ეროვნული გენიის — შოთა რუსთაველის შთაგონებული ლირიკა, დიდი ვაჟა-შვაელას ნიჭი და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, ილია ჭავჭავაძის რევოლუციური პროზა, ნიკო ფიროსმანის თავისუფალი ფერწერა ახლობელი და ძვირფასია როგორც მათი თანამემამულეების, ისე ყველა საბჭოთა ადამიანისათვის.

მათი შემოქმედება რუდაქისა და ნიზამის, ა. ს. პუშკინისა და ა. ს. გრიბოედოვის პოეზიასთან, მ. ი. გლინკასთან და პ. ი. ჩაიკოვსკის მუსიკასთან, ტ. გ. შევჩენკოს და ნ. ვ. გოგოლის, ლ. ნ. ტოლსტოისა და ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოებებთან, ანდრია რუბლოვისა და თეოფანე ბერძენის ქმნილებებთან, ვ. ი. სურიკოვისა და ი. ე. რეპინის ტილოებთან ერთად გახდა ჩვენი საბჭოთა კულტურის უდიდესი კუთვნილება, გაამდიდრა კაცობრიობის სულიერი საგანძური.

ხელოვნების ნაწარმოების საზოგადოებრივი ეღერადობის ძალა, მისი აღმზრდელობითი ზემოქმედება უშუალოდ არის დაკავშირებული დიდი სოციალური მოვლენების არსის გამოვლინებასთან, მოვლენებისა და ხასიათების მხატვრული განზოგადების, შემოქმედის იდეური მრწამსისა და მაღალი პროფესიული ოსტატობის დონესთან.

ყოველივე ამის შთამაგონებელი წყაროა ალექსანდრე დეინეკას და სერგი გერასიმოვის, მარტიროს სარიანისა და ვერა მუხინას, ბორის იოგანსონისა და თეოდორ ხალკალნის, არკადი პლასტოვისა და ვასილ კასიანის, სერგი კონენკოვისა და სიმონ ჩუიკოვის, იური პიმენოვის, ურალ ცანსკიბაევის, სატარ ბაბლულ-ზადეს შემოქმედება, ცნობილი ქართველი ოსტატების — დავით კაკაბაძის, გიგო გაბაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, აპოლონ ქუთათელაძის, ელენე ახვლედიანის, ვალენტინ თოფურიძის, თამარ ანაკაელისა, სერგი ქობულაძის, უჩა ჯაფარიძის, სოლიკო ვირსალაძის, ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები.

უფროსი თაობის მხატვართა შესანიშნავი ტრადიციები განაგრძეს და კიდევ უფრო ნაყოფიერად განავითარეს მერაბ ბერძენიშვილმა და ელგუჯა ამაშუკელმა, ზურაბ წერეთელმა და ზურაბ ნიკარაძემ, გიორგი ოჩიაურმა და ნიკოლოზ იგნატოვმა, რადიშ თორდიამ და გივი ნარმანიამ, ბეჟან შველიძემ და გივი ყანდარელმა, ირაკლი ოჩიაურმა და დინარა ნოდიამ, დიმიტრი ერისთავმა და რევაზ თარხან-მოურავმა, გოგი წერეთელმა და ლალი ზამბახიძემ...

მამისაგან შვილს გადაეცემა პროფესიული გამოცდილება. და ასეთი მაგალითი ბევრია. მოსე, ირაკლი და გივი თოიძეები, შოთა და ჯუნა მიქაძეები, კონსტანტინე და მერაბ მერაბიშვილები, ნიკოლოზ და ნელი ანდელაკები — აი ქართველ მხატვართა დინასტიის არასრული ნუსხა.

ქართველმა ოსტატებმა თავისი საუკეთესო ნაწარმოებებით დამსახურებული პატივისცემა და ავტორიტეტი მოიხვეჭეს სრულიად საკავშირო, რესპუბლიკურ ჯგუფურ და პერსონალურ გამოფენებზე, უდიდეს საერთაშორისო დათვალიერებებზე.

დიდი მხატვრის ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, — თქვა შემდეგ მომხსენებელმა, — ხდება არა მარტო მხატვრული კულტურის, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენაც. ასეთია ალექსანდრე დეინეკას ცნობილი ტილოები „პეტროგრადის დაცვა“ და „სადილობის შესვენება. დონბასი“, სერგი გერასიმოვის სურათები „ციმბრილ პარტიზანთა ფიცი“ და „საკოლმეურნეო დღესასწაული“, ალექსანდრე მატვეევის კომპოზიცია „ოქტომბერი“ და ივანე შადრის ვ. ი. ლენინის ძეგლი ზაპეში, რომლის თვით შექმნის ისტორია ინტერნაციონალიზმის გამოხატულებაა. თავდაპირველად ქანდაკება განკუთვნილი იყო მოსკოვის „გოზნაკის“ ფაბრიკისთვის. ძეგლის საზოგადოებრივ გასინჯვას დაესწრნენ საქართველოს წარმომადგენლები. მათ ითხოვეს ძეგლი დაედგათ ამიერკავკასიაში, სადაც ამ დროს დამთავრდა გოელროს ერთ-ერთი პირმშოს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. „გოზნაკის“ კომუნისტები, რომლებმაც ღრმად შეიგნეს ამ მოვლენის საერთო-სახალხო მნიშვნელობა, დასთანხმდნენ ქართველი ამხანაგების წინადადებას და 1927 წლის 26 ივლისს, მტკვრის პირას ელექტროსადგურის საზეიმო ამშუავების დღეს, გაიხსნა რევოლუციის ბელადის ძეგლი. ძეგლი ხატოვნად ასახავს ლენინური იდეების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამარჯვებას.

გულისყურით ვათვალიერებთ ეგბატე ნივინსკის ოფორტების სერიას, „ზაპეესს“, გუსტავ კლუცისის პლაკატებს „სსრ კავშირი მსოფლიო პროლეტარიატის დამკვრელური ბრიგადაა“ და „ჩვენ ხმას ვაძლევთ“. სოციალისტური ყოფიერების მონუმენტურ სიმბოლოს — ვერა მუხინას კომპოზიციას „მუშა და კოლმეურნე ქალი“, იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი ილიას და აკაკის სკულპტურულ პორტრეტებს, მარტიროს სარიანის ფერწერულ ციკლს „ჩემი სომხეთი“, სიმონ შუიკოვის პოეტურ ტილოს „საბჭოთა ყირგიზეთის ქალიშვილი“ და არკადი პლასტოვის სურათს „ტრაქტორისთა ვახშამი“... ამ ნაწარმოებებში ნათლად ჩანს თაობათა მემკვიდრეობითობის იდეები, ეპოქის ტიპური სახეები, საბჭოეთის დიდი გზის გმირული ეტაპები.

საბჭოთა მხატვრების საუკეთესო ნაწარმოებებში თავმოყრილია ის მთავარი, რითაც ცოცხლობს ქვეყანა, რაც ახასიათებს თანამედროვის ზნეობრივ სახეს, რაც ეტიკურ ზემოქმედებას ახდენს მის საქმეებსა და ქცევაზე. განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების სულიერი ძალა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. იმ წლების ნაწარმოებები რაზმავდა საბჭოთა ადამიანებს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, განუმტკიცებდა გამარჯვების რწმენას.

განა შეიძლება, მაგალითად, დავიწყოთ ირაკლი თოიძის პლაკატი „დედასამშობლო გვიხმობს!“? ქართველი ოსტატის მიერ შექმნილ „დედასამშობლოს“ გმირულ სახეში ჩაქსოვილ სულიერ ძალას, იდეურ მრწამსს ეხმაურებოდა ყველა, რაზმავდა ადამიანებს მამულის გამარჯვებისათვის.

ფაშისტი დამპყრობლებისადმი სიძულვილსა და გამარჯვების რწმენას შთააგონებდა ადამიანებს არკადი პლასტოვის „ფაშისტმა გაიქროლა“ და კონსტანტინე იუონის „პარადი წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბერს“, ალექსანდრე დეინეკას სურათი „სევასტოპოლის დაცვა“ და კუკრინიკსის პლაკატი „შევმუსრავთ და გავანადგურებთ მტერს!“, რომელიც ომის მეორე დღესვე გაჩნდა. დღეს, დიადი გამარჯვების 35 წლის შემდეგ, მშვიდობის ნათელ დღეებში ისეთივე მღელვარებთან ვაკვირდებით საბჭოთა მხატვრების ომისდროინდელ ნამუშევრებს, როგორც იერიშზე მიმავალი მებრძოლები.

წლების მანძილზე მათ არ დაუკარგავთ მაღალი იდეურ-აღმზრდელობითი, ზნეობრივი მნიშვნელობა, ისინი გვასწავლიან სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი ხალხის უსაზღვრო სიყვარულს, გვიმტკიცებენ საბჭოთა პატრიოტზის გრძნობას.

ასე ვიფასებთ დღეს ფილმსაც „ჯარისკაცის მამა“, რომელსაც მხურვალედ, გულწრფელად გამოუხმაურა მილიონობით ადამიანი, და მილიონობით საბჭოთა ადამიანისაგან ერთ-ერთის მერაბ ბერძენიშვილის მიერ ჯარისკაცის მამის პატივსაცემად შექმნილ მონუმენტსაც, რომელიც აღმართულია გურჯაანის 17 სოფლის მცხოვრებთა ინიციატივით, ოთარ ფოფხაძისა, რომლის 5 ათასზე მეტმა მამულიშვილმა სიცოცხლე შესწირა ჩვენს საბჭოთა სამშობლოს.

ჩვენი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები მიგვაჩნია თანამედროვე მხატვრული პროცესის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებად. ეს არის წარსულის გმირული მოვლენების აქტიური ასახვა, შინაგანი ურთიერთკავშირით წარსულისა და აწმყოს ჩვენება.

თანამედროვე ხელოვანს ეპოქის რეალური გმირის, კონკრეტული ადამიანის ბედი მიაჩნია ხალხის ბედის ნაწილად.

ამის დამაჯერებელი მაგალითია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახის გამოძერწვა. ნიკოლოზ ანდრეევისა და ივანე შადრის, ისაკ ბროდსკისა და იაკობ ნიკოლაძის ნაწარმოებებით დაწყებული, ლენინის პიროვნებას თავის შემოქმედებაში მიმართავდნენ და მომართავენ სხვადასხვა თაობის მხატვრები, საბჭოთა სახვითი ხელოვნების ყველა ეროვნული სკოლის წარმომადგენლები.

რევოლუციის ბელადის სახის დიდი ინტერნაციონალური მნიშვნელობა აისახა ფერმწერების, მოქანდაკეების, გრაფიკოსების, მოხუმენტალისტი მხატვრების ნაწარმოებებში. ეს არის ნ. ტომსკის რევოლუციის ბელადის მონუმენტიც, რომელიც აღმართულია ევროპის ცენტრში, ბერლინში, გ. იოკუბონისის მიერ შექმნილი სახეც — ვ. ი. ლენინის ძეგლი მოსკოვში, ილიჩის საგუშაგოზე, და მ. ანიკუშინის მონუმენტიც ლენინგრადში, ვ. ბოროდაის სკულპტურული კომპოზიციაც კიევში, რომელშიც ცენტრალურია ვ. ი. ლენინის სახე, ვ. თოფურიძის თბილისსა და მოსკოვში აღმართული მონუმენტები, ი. კლიჩევის სურათი „ვ. ი. ლენინი“, გ. გელოვანისა და კ. მახარაძის, ვ. ნეჩიტაილოსა და მ. სავიცკის ტილოები, პ. ნიკონოვის „ოქტომბრის შტაბი“ და ს. დუდკინის ტრიპტიქი „1917 წელი. ოქტომბერი“, ე. კიტსის ტილო „ვ. ი. ლენინი“ და ი. ოსინის პორტრეტი, ილიჩისადმი მიძღვნილი სხვა ნაწარმოებები.

ჩვენი სახვითი ხელოვნების ლენინიანაში ყველაზე სრულად და მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა მხატვრული კულტურის განსაზღვრა — შინაარსით, განვითარების მთავარი მიმართულებით სოციალისტური, ეროვნული ფორმებით მრავალფეროვანი და სულიერებითა და ხასიათით ინტერნაციონალური კულტურის განსაზღვრა.

მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა სახეობასა და ჟანრში მრავალეროვნული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიღწევების, ჩვენი შესანიშნავი ოსტატების დ. შარინოვის, ნ. რომადინის, ი. ზარინის, ტ. სადიკოვის დიდი ნიჭისა და საზოგადოების წინაშე დამსახურების მაღალი აღიარებად - მივიჩნიეთ მათთვის 1980 წლის ლენინური პრემიების მინიჭება.

შემოქმედებითი შრომის ეს მაღალი შეფასება მიგვაჩნია იმის ფაქტად, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ზრუნავენ მხატვრისათვის, იჩენენ ყურადღებას ჩვენი მრავალეროვნული ხელოვნების განვითარებისადმი.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირი არსებობის პირველი წლებიდანვე ყოველნაირად უწყობდა ხელს რესპუბლიკებში სამხატვრო სკოლების შექმნას, მხარს უჭერდა ყოველივე მოწინავეს, ქმშარტად ნოვატორულს, შთაგვინერგავდა სათუთ დამოკიდებულებას შემოქმედებაში ეროვნული თავისებურებების გამოვლინებისადმი. ჩვენი ორგანიზაციის უკვე I და II ყრილობებზე განხილულ იქნა ეროვნული სკოლების განვითარების საკითხები, დაისახა რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების იდეურ-პროფესიული დონის შემდგომი ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი.

ამის შედეგი გახდა რესპუბლიკური და საკავშირო მხატვრული გამოფენების რეგულარული მოწყობა. ყოველდღიურ პრაქტიკაში დამკვიდრდა ერთობლივი შემოქმედებითი ჯგუფების მუშაობა, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ ყველა ეროვნული სკოლის ოსტატები. დიდი ყურადღება ეთმობა მოკავშირე რესპუბლიკების ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი მიღწევების პროპაგანდას ჩვენი ჟურნალების ფურცლებზე, სპეციალურ და ცენტრალურ პრესაში. გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკი“ ყოველწლიურად უშვებს ათობით წიგნს, ალბომს, რეპროდუქციებს შენარჩუნებს ყველა რესპუბლიკის მხატვართა შემოქმედების შესახებ.

საგამოფენო მუშაობის ყველა ფორმისა და საშუალების სრულყოფის საკითხებს სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული მხატვრული სკოლების ნაყოფიერი ურთიერთმოქმედების პროცესის შემდგომი გაღრმავების, ხელოვნებაში ინტერნაციონალისტური ურთიერთობის დამკვიდრებისათვის.

მაგრამ, თქვა ნ. პონომარიოვმა, მიღწევებთან ერთად საქმიანობის ამ სფეროში გვაქვს ნაკლოვანებებიც. გამოფენათა გაცვლა რესპუბლიკებს შორის ჯერ კიდევ საკმარისად აქტიურად არ ხდება. აქ არ იგრძნობა გეგმაზომიერება, სტაბილურობა. ხშირად ვხედებთ გამოფენების დაკომპლექტებისადმი ფორმალური მიდგომის შემთხვევებს. ჯერ კიდევ ნელა ინერგება პრაქტიკაში საგამოფენო მუშაობის ახალი ფორმები, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს მრავალეროვნული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიღწევათა პროპაგანდის შედეგიანობაზე.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების განვითარების თანამედროვე დონე, ეროვნული სახეების, ფორმებისა და ფერების სიმდიდრე გვიკარნახებს, რომ უთუოდ საჭიროა შეიქმნას დამოუკიდებელი სტაციონარული ექსპოზიციები, სადაც წარმოდგენილი იქნება საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც ასახავს ყველა ეროვნული სამხატვრო სკოლის დიდ მიღწევებს.

ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია წამოვაყენოთ წინადადება, რომ შეიქმნას სსრ კავშირის სურათების ახალი სახელმწიფო გალერეის კოლექცია, როგორც მრავალეროვნული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა კრებული, რომელიც სრულად ასახავს მისი ისტორიის ძირითად ეტაპებს, თანამედროვე განვითარებას. უნდა დავაყენოთ რესპუბლიკური სამხატვრო მუზეუმების და გალერეების საკითხიც, რომელთაგან დიდ უმრავლესობას არა აქვს თანამედროვე საბჭოთა სახვითი ხელოვნების განყოფილებები.

ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში მტკიცედ მკვიდრდება იმ ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის ახალი ფორმები, რომელიც დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ამის გამოხატულებაა სახვითი ხელოვნების 1980 წლის კვირეული, ჩვენი გასული წლის პლენუმები და სამდივნოების გაფართოებული გამსვლელი სხდომები, მომზადება სრულიად საკავშირო მხატვრული გამოფენისა „სპორტი მშვიდობის დესპანია“, რომელიც XXII ოლიმპიურ ასპარეზობას ეძღვნება.

ერთ-ერთი ასეთი ფორმა გახდა ჩვენი დიდი შემოქმედებითი-ორგანიზატორულ ღონისძიებათა განხორციელება საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიღწევათა დიდი დათვალიერების ფოწზე, რამაც ჩვენი პროფესიული ამოცანების განხილვას საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა, საშუალება მოგვცა ვილაპარაკოთ კონკრეტული მასალებით შემოქმედების ცხოველმყოფელ პრობლემებზე.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ყველა საჭირო პირობა აქვს საგამოფენო, პროპაგანდისტული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაფართოებისა და დახვეწისათვის. მარტო ამ ბოლო დროს შესანიშნავი საგამოფენო დარბაზები აშენდა ბელორუსიაში, უზბეკეთში, ლიტვაში, აზერბაიჯანში, სხვა რესპუბლიკებში. 1979 წელს, დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ, თბილისში გაიხსნა მხატვრის სახლი. მოსკოვში მწყობრში ჩადგა მხატვრის ცენტრალური სახლი. ღირსშესანიშნავია, რომ მხატვრის ცენტრალურ სახლში პირველი ექსპოზიცია გახდა ხალხური სამხატვრო სარეწების ოსტატთა ნაწარმოებების საკავშირო გამოფენა. აქ კაკაფიოდ გამოვლინდა ხალხური შემოქმედებისადმი, როგორც სილამაზის უშრეტი წყაროსადმი, დამოკიდებულება, ზრუნვა ეროვნულ კულტურათა საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

მხატვართა კავშირის საქმიანობაში დიდი როლი განეკუთვნება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სახვითი ხელოვნების მოღვაწეებს, მსოფლიოს პროგრესული ოსტატებზე ინტერნაციონალური ზემოქმედების განმტკიცებისათვის მუშაობას.

ყველა რესპუბლიკის მხატვრები თავიანთი ნაწარმოებებით აქტიურად მონაწილეობენ უდიდეს საერთაშორისო გამოფენებში.

დღეს ჩვენ ვიწყებთ საქმიანობის ერთ-ერთი ახალი პერსპექტიული ფორმის რეალიზაციას, რომელიც უნდა დამკვიდრდეს ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკაში, გახდეს ტრადიცია. მხედველობაში მაქვს რესპუბლიკებში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები, რომლებსაც დასაბამი მიეცა აქ, საქართველოში.

ეს არის განსაკუთრებული საზოგადოებრივი დათვალიერება, შემოქმედებითი მუშაობის შედეგების შეჯამება, რომლის მიზანია საბჭოთა სამხატვრო კულტურის ოსტატთა აქტიური ურთიერთმოქმედების შემდგომი გაღრმავება.

საკითხები, რომლებსაც დღეს პლენუმზე ვიხილავთ, სცილდება წმინდა პროფესიული პრობლემების ფარგლებს. ჩვენს გაერთიანებულ პლენუმს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მთლიანად საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის, სოციალიზმის მხატვრული კულტურის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ამაღლებისათვის.

პლენუმის ნაყოფიერი მუშაობისათვის შექმნილი პირობები, საქართველოში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მოწყობასა და პროპაგანდაში უდიდესი დახმარება, რომელიც რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა გაგვიწიეს, მკაფიოდ მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ქვეყანაში მხატვრული კულტურის განვითარებას.

მომხსენებელმა გულითადი მადლობა გადუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მოწყობაში დიდი დახმარებისათვის.

საბჭოთა ადამიანის პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში საბჭოთა საზოგადოების მრავალეროვნული მხატვრული კულტურის უღელვარ ადგილს ენიჭებენ ეროვნული ხელოვნების ოსტატები. „ჯანმრთელმა, ასეთმა, ეროვნულ-ინტერნაციონალურ“ ხელოვნების ქმედითობამ, აღნიშნეს მათ, მისი კლასიკისა და დღევანდელი მიღწევების მსოფლიო აღიარებამ, აყვავებამ და მრავალფეროვანმა ფორმებმა უზრუნველყო მისი დიდი ავტორიტეტი.

სოციალისტურ საზოგადოებაში შემოქმედებითი პროცესის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ მოძმე ხალხების ხელოვნების განვითარება მიმდინარეობს არა იზოლირებულად, არამედ მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტების პირობებში. კულტურათა ურთიერთგავლენა და ურთიერთგამდიდრება ავითარებს ერთიან მრავალეროვნულ საბჭოთა ხელოვნებას.

სსრ კავშირის ხალხთა სოციალისტური კულტურების ურთიერთმოქმედებას მიუღწევნეს გამოსვლები ე. მისკომ, დ. სკულმემ, ს. მამბეევმა, ს. საფარიანმა, კ. ბოგდანოვმა, კ. იაკუბოვმა და სხვებმა.

ინტერნაციონალიზმის გზით მიმავალი საბჭოთა ხელოვნება ამავე დროს ინარჩუნებს თითოეული ხალხის მხატვრული შემოქმედების განმასხვავებელ ნიშნებს, მის ეროვნულ თავისებურებას. დღევანდელ საბჭოთა ხელოვნებაში ეროვნულის გაგება გაცილებით რთული და ღრმაა, ვიდრე წინათ, არადა, ახლა უკვე საკმთხს წყვეტს არა მარტო ეთნოგრაფიული ნიშნების, დამახასიათებელი გარეგნული ატრიბუტების, ეროვნული ორნამენტის და სხვათა გამოყენება, არამედ სოციალისტური სინამდვილის არსის ღრმა წარმოჩენა.

ორატორებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები თავიანთი ხალხების მხატვრული კულტურების პრაქტიკიდან, რომლებიც გამდიდრებულია მომძე კულტურათა ურთიერთგაგებით და რომლებმაც ჩვენს დღეებში შექმნეს ჩვენი ქვეყნის ერთიანი საბჭოთა სახვითი ხელოვნების შესანიშნავი შენადნობი.

პლენუმზე შთამბეჭდავად გაისმა მოსკოველი მხატვრის მ. ბირშტეინის, მხატვართა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელის გამოსვლა. ეს ჯგუფი მთელი თვის მანძილზე თერჯოლის რაიონში მუშაობდა. ამ მხატვართა მივლინების შედეგია 30-ზე მეტი ტილო, რომელიც ასახავს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის მშრომელთა ცხოვრებასა და სახელოვან საქმეებს, მის ბუნებას, რაც დაინახეს რუსმა, უკრაინელმა, ბელორუსმა, სომეხმა, აზერბაიჯანელმა, მოლდაველმა, ბალტიისპირელმა მხატვრებმა. სწორედ ეს არის, აღნიშნეს პლენუმის მონაწილეებმა, ის დიადი ინტერნაციონალური თვისება, რითაც საბჭოთა კულტურა გამოირჩევა.

დადგენილებაში, რომელიც პლენუმის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს, აღნიშნულია, რომ საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატებს თავიანთ მოვალეობად დაუსახავს მოწოდებად მიაჩნიათ თავდადებით ემსახურონ მშობლიურ ხალხს, შექმნან შთამბეჭდავი ნაწარმოებები, რომლებიც ასახავს მის აღმშენებლობას, მის დიად ინტერნაციონალურ პასუხისმგებლობას მსოფლიოს ხალხთა წინაშე. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პარტიის დმანისის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ამხ. ე. ა. ბერიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ნ. ენუქიძემ. (საქინფორმი).

● ●

დღესასწაულს გილოცავთ, მელიორატორებო!

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო აკადემიურ ოპერისა და ბალეტის თეატრში 29 მაისს გაიმართა მელიორატორის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კავაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა ბ. გადელიამ.

მელიორატორებს მიესალმნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გ. ყიფიანი, „ალაზანმშენის“ ტრესტის მთავარი ინჟინერი ი. ცენტრაძე, ავარის ასსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. ძნელაძე, საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი ზ. ღამბაშიძე, პოეტი ი. ონნაშვილი და სხვები.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლ. ზაქაიძე. (საქინფორმი).

სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იტყობინება, რომ 1980 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად სხვებთან ერთად წარდგენილი არიან ქართველი მოღვაწენი:

ე. დ. ამაშუკელი — მოქანდაკე, **ვ. ვ. დავითაია** — არქიტექტორი. გმირი მეზღვაურების მემორიალი. ქ. ფოთში და გამარჯვების მონუმენტი ქ. გორში. წარადგინეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკის მხატვართა კავშირმა.

ს. მ. ჭიაურელი — მთავარი როლის შემსრულებელი სომხურ სატელევიზიო მხატვრულ ფილმში „არევიკი“ — დამდგმელ ჯგუფთან ერთად. წარადგინა სომხეთის სსრ სახკინომ და კინემატოგრაფისტთა კავშირმა.

ლ. ლ. ღოლობერიძე — სცენარის ავტორი და რეჟისორი, **ზ. ი. არსენიშვილი, ე. ს. ახვლედიანი,** — სცენარის ავტორები, **ნ. ი. ერქომაიშვილი** — ოპერატორი, **ჭ. ი. ლებანიძე** — მხატვარი, **ს. მ. ჭიაურელი** — მთავარი როლის შემსრულებელი. მხატვრული ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები. წარადგინეს სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა, საქართველოს სსრ სახკინომ, კინემატოგრაფისტთა კავშირმა, კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ.

გ. დ. ლელაძე. მასობრივ მშენებლობაში დანერგილი სკოლებისა და სკოლამდელთა დაწესებულებების ტიპობრივი შენობების სერიის არქიტექტურა (ლენინგრადის, მინსკის, ნაბერეჟნეი ჩელნის, ლობნის მაგალითისამებრ) არქიტექტორთა ჯგუფთან ერთად. წარადგინა სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სახსამოქალაქოშენმა.

ფრთას ისხამს ახალი ხომალდი

ეს დღე — 1980 წლის 27 მაისი — დიდხანს დაახსომდებათ ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსარემონტო ქარხნის მშრომელებს. ახდა ქართველ მეხომალდეთა დიდი ხნის ოცნება — ახალი წყალქვეშაფრთიანი თბომავალი „კოლხეთი“ ლითონში იბადება.

გაიმართა მიტინგი, რომელზეც ერთსულოვნად მიიღეს დეპეშა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ამ საზეიმო დღეს ქარხანას ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. მასთან ერთად იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჭითანავა.

საიმედო გემი

იგი ჯერ მხოლოდ ნახაზებსა და მაკეტებშია, შემართებული და მშვენიერი, გემთმშენებლობაში უბადლო. ერთი შეხედვით, იგი თითქოს არც განსხვავდება ფართოდ ცნობილი „კომეტისაგან“ — მსოფლიოს პირველი წყალქვეშაფრთიანი ხომალდისაგან, რომელსაც უკვე 20 წელია უშვებს ქარხანა. მაგრამ ამ მსგავსების მიღმა ჩანს ისი

საერთაშორისო ცხოვრება
დილამეცის ჟურნალი

გვაგზავნიან ევროპელ საკრებულისა და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები

კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

ლონდონი, 30 მაისი. აქ მუშაობა დაამთავრა დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მეხუთე კონფერენციამ, ეს ორგანიზაცია აერთიანებს 16 სახელმწიფოს.

დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების თავმჯდომარემ, ტოგოს პრეზიდენტმა დ. ეიადემამ საბოლოო სიტყვაში გაერთიანების ქვეყნებს მოუწოდა განავითარონ საკუთარი გადამმუშავებელი მრეწველობა არსებული რესურსების ბაზაზე, აგრეთვე გააფართოონ ვაჭრობა დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლით, რათა ბოლო მოეღონ დამოკიდებულებას დასავლეთის სახელმწიფოებისადმი.

კონფერენციის კომუნიკეში ნათქვამია, რომ მისმა მონაწილეებმა მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებში ვაჭრობის განვითარებისა და საბაჟო ბარიერების ლიკვიდაციის შესახებ. საჭიროდ ცნეს თანდათან გაზარდონ ერთიანული კაპიტალის წილი სამრეწველო საწარმოებში, რომლებიც პროდუქციას უშვებენ გაერთიანების ქვეყნებისათვის. ეს წილი 1981 წლის 20 პროცენტიდან უნდა გაიზარდოს 51 პროცენტამდე 1989 წელს.

კონფერენციამ მხარი დაუჭირა სხვა ორგანიზაციებთან დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებას როგორც გაერთიანების ფარგლებში, ისე საერთაშორისო ბაზით.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

30 მაისი

● **პანოი.** დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა წამოების ნოვატორთა და რაციონალიზატორთა მოძრაობა, რომელიც სოციალისტურ ვიეტნამში გაჩაღდა. მაგალითად, შარშან მარტო საგზაო ტრანსპორტის მშრომელებმა წამოაყენეს 600-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება. მათი დანერგვისაგან ეკონომიკურმა ეფექტმა შეადგინა 3,6 მილიონი დონგი.

● **ბაღდადი.** აქ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი.

● **დაკარი.** აქ სრულიად აფრიკის საინფორმაციო საagენტოს სამთავრობათშორისო საბჭოს (პანა) გახსნაზე მისმა პრეზიდენტმა ლუსიუ ლარამ განაცხადა, რომ საჭირო კიდევ უფრო განამტკიცონ აფრიკის სახელმწიფოთა მასობრივი ინფორმაციის ორგანოების თანამშრომლობა. აფრიკის ქვეყნების პრესის საagენტომ და პანამ თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ კონტინენტის დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში, თქვა მან.

ფოტოინფორმაცია

ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის უკმაყოფილებას იწვევს მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური საჭიროებებისათვის ასიგნებათა შემცირებასა და სამხედრო ხარჯების მკვეთრ გადიდებას. აკლიათ საავადმყოფოები, ბავშვთა ბაგა-ბაღები, იხურება მრავალი სკოლა და ბიბლიოთეკა, მწვავედ დგას მოსახლეობის საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის საკითხი.

სურათზე: ქალაქ ნიუარკის (ნიუ-ჯერსის შტატი) ზანგი მოსახლეობის გამოსვლა თავიანთი უფლებების დასაცავად.

ვაშინგტონის უშუალო მონაწილეობით

ვაშინგტონი, 30 მაისი. შეერთებული შტატები სულ უფრო მეტად ერევა სალვადორის საშინაო საქმეებში, სამხედრო დახმარებას უწევს მმართველ რეჟიმს ამ ქვეყნის ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში. როგორც სალვადორის პატრიოტული ორგანიზაცია „ვაშინგტონში სალვადორელთა ბლოკი“ იუწყება, პანამის არხის ზონაში განლაგებული ამერიკის სამხედრო ბაზიდან სალვადორში გაგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სპეციალისტთა სამი ჯგუფი შინაგან უწესრიგობათა ჩახშობის „სალვადორის ხუნტის უშიშროების ძალების მოსამზადებლად“. „სპეციალისტები“ შეიარაღებული არიან და მიცემული აქვთ ბრძანება“, აჯანყებულთა „ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხონ“. დამსჯელთა მომზადების გარდა, ამერიკელი „ექსპერტები“ უშუალოდ მონაწილეობენ ხუნტის შეიარაღებულ ბანდებთან ერთად პატრიოტული ძალების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებში.

როგორც ორგანიზაცია აცხადებს, შეერთებული შტატები აგრეთვე უგზავნის სალვადორის საიდუმლო პოლიციას იარაღს, ტყვია-წამალს, ცრემლსადენ გაზს. ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა 6 მილიონი დოლარი გამოყო. აჯანყებულთა წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებში ფართოდ აბამენ ჰონდურასისა და გვატემალის პროამერიკული რეჟიმების შეიარაღებულ ძალებს.

სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან ტრიფინიოს რაიონში სალვადორის ხუნტის, ჰონდურასისა და გვატემალის შეიარაღებულმა ძალებმა დაარბიეს ადგილობრივი გლეხები. იურიკის რაიონში ხუნტის ჯარებმა ჩაახშეს გლეხთა გამოსვლა, რომლებმაც ხელთ იგდეს შემამოლის მიწა. ბევრი „ამბოხებული“ დახოცეს.

ამავე დროს მმართველი ხუნტა აძლიერებს ტერორს თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, ფართოდ იყენებს უკიდურეს რეაქციონერთა სამსახურს. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პროამერიკული რეჟიმი გასული წლის შემოდგომაზე, პროგრესულ მოღვაწეთა პოლიტიკურ მკვლელობათა რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა და დღეში ოცზე მეტს შეადგენს. მარტო 13 მაისიდან ქვეყანაში განხორციელდა აჯანყებულთა „ძებნისა და მოსპობის“ 400-ზე მეტი ოპერაცია.

ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა სალვადორელი ხალხის წინააღმდეგ დანაშაულში „ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების უზრუნველყოფისათვის“ კვლავ გვიჩვენებს ვაშინგტონელი ადამიანის უფლებების „დამცველთა“ ჭეშმარიტ, კაცთმოძულე სახეს.

ახალგაზრდობა— იმედი ხვალის

მაყურებელი ინტერესით შეხვდა დიდი იტალიელი კომპოზიტორის პუჩინის ოპერის „ტოსკას“ პრემიერას თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. დამდგმელმა ჯგუფმა (დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. აზმაიფარაშვილი, რეჟისორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. ანჯაფარიძე, მხატვარი — რესპუბლიკის სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ფ. ლაპიაშვილი, ქორმაისტერები — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბუცხრიკიძე, დამსახურებული არტისტი ა. დანელიანი) და საოპერო დასის სოლისტებმა ახლებურად გაიაზრეს მწვავე დრამატიზმითა და მღელვარე ვნებებით აღსავსე ოპერა.

მთავარ გმირთა საინტერესო სახეები შექმნეს ჩვენი საოპერო ხელოვნების სახელოვანმა მოძღვრებმა და ნიჭიერმა ახალგაზრდობამ: სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ც. ტატიშვილმა (ტოსკა), რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნ. ანდღულაძემ და ახალგაზრდა სოლისტმა ა. ხომერიკმა (კავარადოსი); სკარპიის როლში ვიხილეთ ი. კოკოლია და ჯ. მდივანი. თავისებურად წარმოგვიდგინა ტოსკას სახე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნ. მკერვალიძემ.

რამდენიმე დღის წინათ ტოსკას პარტია პირველად იმღერა ოპერის თეატრის ახალგაზრდა სოლისტმა

აია კანკიამ, რომელმაც ადრე ტატიანას როლში (ჭ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“) მაყურებელი მოხიბლა ხავერდოვანი ლირიკულ, დრამატული სოპრანოთი.

ტოსკაში გამოსვლა მეტად სერიოზული ნაბიჯია ა. კანკიასათვის. ეს არის ღრმა ფსიქოლოგიური და ემოციური კონტრასტებით აღსავსე პარტია, რომელიც სრულყოფილ პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს მომღერლისაგან. ახალგაზრდა მომღერალმა გამოცდილ კონცერტმაისტერებთან — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან ტ. დუნენკოსთან და დამსახურებულ არტისტთან ი. სალაყაიასთან ერთად ბევრი იმუშავა პარტიის მუსიკალურ-სცენური დახვეწისათვის. დიდი დახმარება გაუწიეს მას დირიჟორებმა გ. აზმაიფარაშვილმა და ა. ჯაფარიძემ, ვოკალის დარგში კონსულტანტია რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი ნ. ანდღულაძე, და აი, მომღერალმა წარმატებას მიაღწია კიდეც, — ტოსკას პარტია კარგად მოერგო მის ხმას.

მგზნებარე, ეჭვიანი ტოსკა-კანკიას ხმაში თავდაბალ ნათლად აისახა კავარადოსისადმი თავდავიწყებული სიყვარული. ლირიკული სიმობოთი შეასრულა მომღერალმა ტოსკას არიოზო „ჩვენი პატარა სახლი“. შემდეგ კი ცრემლნარევი ნაღველით იმღერა ტოსკას უმთავრესი არია, რომელშიც განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი თბილი, ლამაზი ხმა.

ახალგაზრდა მომღერალს პარტნიორობას უწევდა ენრიკო ჩიხლაძე. კავარადოსის როლში იგი საკმაოდ გამოცდილი მომღერალია და აშკარად ოტელოს პარტიაზე მუშაობს.

პაპის პოლიციის უფროსის, სასტიკი და დაუნდობელი სკარპიას პარტია შეასრულა თამაზ ფარცვანიამ, რომელიც ახლახანს გადმოვიდა ქუთაისის ოპერის თეატრიდან.

სპექტაკლს დირიჟორობდა თ. ჯაფარიძე.

ნ. სვანიშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

* * *

სურათზე: აია კანკია ტოსკას როლში.

ი. მურადოვის ფოტო.

ფინალი — მერვედ

თბილისის „დინამო“-კიევის „დინამო“ 2:1 (0:1)

თბილისი, 30 მაისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 24 გრადუსი სითბო. 75.000 მაყურებელი.

მსაჯები: ვ. ლიპატოვი, ვ. ბუტენკო, ე. შკლოვსკი (სამივე — მოსკოვი).

„დინამო“ (თბილისი): გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე (სულაქველიძე, 46-ე წუთზე), დარასელია, ჭილაია, მინაშვილი, შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე (გუცაევი, 80).

„დინამო“ (კიევი): რომენსკი, კონკოვი (ალოტოვი, 24), კაპლუნი, ფურავლიოვი, დემიანენკო, ლოზინსკი, ბურიაკი; ხაპალინი, ბესონოვი, ევტუშენკო (ვერემეევი, 80), ბლოხინი.

გოლები: ევტუშენკო (33-ე წუთზე), ჩივაძე (51) დარასელია (85).

გაფრთხილებულია ხაპალინი.

ეს იყო მართლაც ორი ღირსეული მეტოქის სათამაშო მატჩი, რომელსაც ფეხბურთის ქომაგები ალბათ არაერთხელ გაიხსენებენ. და მით უფრო სასიამოვნოა, რომ წლევანდელ საჩემპიონატო სეზონში ამ ძლიერი კოლექტივების მონაწილეობით კიდევ ორ შეხვედრას ვიხილავთ.

სადღეისოდ კი გუშინდელ ნახევარფინალურ მატჩში მონაწილე ორივე გუნდის თამაში შევაფასოთ.

შეხვედრის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ კიეველებმა, ისეთ მოიერიშე გუნდთან, როგორიც ამჟამად თბილისის „დინამოა“, ყველა რგოლში პერსონალური მეურვეობის ტაქტიკა აირჩიეს. მართალია, ტაიმის დასაწყისში მასპინძლები უფრო ხშირად ავითარებდნენ იერიშებს სტუმართა საჯარიმოში, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა გადამწყვეტი დარტყმა იყო საჭირო, კიეველთა მიერ დიდებულად ორგანიზებულ დაცვასთან ბრძოლას აგებდნენ. სტუმრები კი არცთუ ხშირი კონტრიერიშებისას უფრო მწვავედ მოქმედებდნენ და გოლის ზღვარამდე მისულ სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ. რაც დრო გადიოდა, ისინი მით უფრო აქტიურად უტევდნენ თბილისელთა კარს და წარმატებასაც მიაღწიეს მაშინ, როცა ბლოხინის მიერ განივად ჩაწოდებულ ბურთს მიუსწრო ევტუშენკომ და იგი თბილისელთა კარში ჩაჭრა. ტაიმის დასასრულამდე სტუმრები აქტიური და შემტევი ფეხბურთის ერთგული დარჩნენ, არც მასპინძლებს დაუთმიათ პოზიციები, მაგრამ ყველაფერი მაინც შესვენების შემდეგ გადაწყდა.

მეორე ტაიმში თბილისელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს. უფრო მეტიც, დიდებულად. იმატა სისწრაფემ, რომელმაც უმალ ნაყოფი გამოიღო: მეტოქეთა დაცვაში არაერთი ბზარი გაჩნდა და, ცხადია, მასპინძლებს უკვე ფართო მანევრირების საშუალება მიეცათ. კიეველები ველარ ასწრებდნენ დაცვის ორგანიზებას და მატჩი უკვე ცალ კარში თამაშს დაემსგავსა. მასპინძელთა გამუდმებული და მწვავე იერიშების შემდეგ ბურთმა ორჯერ მონახა კიეველთა კარი.

ეს მოხდა ჯერ მეორე ტაიმის დაწყებიდან მე-6 წუთზე, როცა დაახლოებით 25 მეტრიდან ჩივაძემ უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში და, შემდეგ, როცა გუცაევი მარცხენა ფლანგზე შეიჭრა, რბილად გადასცა ბურთი დარასელიას და ამ უკანასკნელმა გამარჯვების დამგვირგვინებელი გოლი გაიტანა.

მაშ ასე, მეორე ტაიმში მოქნილი და სწორად გაანაწილებული ტაქტიკის, მთელი კოლექტივის ბრწყინვალე თამაშის შედეგად თბილისის დინამოელებმა თასისათვის გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს — საკავშირო თასისათვის ბრძოლის ისტორიაში უკვე მერვედ. წინა ფინალებში მათ ორჯერ იმარჯვეს. დაე, მერვე ცდაც იღბლიანი ყოფილიყოს. ამჯერად მათი მეტოქე იქნება დონეცკის „შახტიორი“, რომელმაც გუშინ მოსკოვში ნახევარფინალური მატჩი მოუგო „სპარტაკს“ ანგარიშით 1:0. დაველოდოთ ფინალს, რომელიც მოსკოვში 9 აგვისტოს გაიმართება.

ჯ. ენუქიძე.

ტელევიზია

31 მაისი

პირველი პროგრამით: — 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ქართული საგელევიზიო ფილმი „დილა მშვიდობისა“, 10.05 — „შვილისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 11.05 — „ცეროდენას ეკრანი“ (ფ.), 11.35 — „კინომოშაიკა“, 12.15 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“ (ფ.), 13.00 — „თბილისი და თბილისელები“ — საგელევიზიო ჟურნალი (ფ.), 13.30 — „გამარჯვებულნი“ — ფრონტელ მეგობართა კლუბი (მ.), 14.45 — „ახალგაზრდა იერიკვს პროფესიას“. 15.20 — „ჯანმრთელობა“. საგელევიზიო პროგრამა. 10 მაისის გადაცემის გამეორება, 15.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.00 — „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას“ — გარდაბნის რაიონი (ფ.), 16.50 „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 17.50 — „გადაცემა „მადნეული ახალგაზრდობას უმობს“ (ფ.), 18.25— „იავნანა“. საგელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის (ფ.), 19.35 — „მეცხრე სტუდია“ (მ.), 20.35 — „დიდება შრომას, 21.00 — „ზოამბე“ (ფ.). 21.30 —„ზურაბ სოკაილავა“ (ფ), 22.00— „ვრემია“ (მ.), 22.35—კონცერტი (ფ.).

მეორე პროგრამით: 13.35 — დოკუმენტური ფილმი „ივანე პირიველი“, 14.35 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „მუშაითი“. 15.40 — მხატვრული ფილმი „თუ არის აფრები“ (ფ.), 16.45 — კინონარკვევი, 17.00 — საესტრადო კონცერტი, 17.35 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთსა ყვავსა ყვავნილასა“... 18.05 — „მუსიკალური კალენდარი“.

სატურნირო ორბიტა

ფუალბურთი. თბილისში დაიწყო თავრდა ახალგაზრდული ტურნირის საკავშირო ჩემპიონატი. ეროვნალური ეტაპის ბოლო ტურის მატჩები ასე დამთავრდა: ყაზახეთი-უზბეკეთი — 4:3, მოსკოვი-რსფსრ — 4:4, საქართველო-აზერბაიჯანი — 4:3. 9 ქულით ჩემპიონის წოდება მოიპოვა ყაზახეთის ნაკრებმა. 3-3 ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულს მოსკოვისა და საქართველოს წყალბურთელები. ბურთების უკეთესი სხვაობის გამო მეორე ადგილი მოსკოველებს მიეკუთვნათ. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ ქართველ სპორტსმენებს, რაც, უდავოდ, დიდი წარმატებაა.

ბადრაკი. დონის როსტოვში მიმდინარე უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო თასის „გათამაშების ხუთი ტურის შემდეგ ლიდერობს „ბურევესტნიკი“ — 24,5 ქულა (3 პარტია გადაიდო). მომდევნო ადგილებზე არიან: შეიარაღებული. ძალები — 23,5 (6), „ავანგარდი“ — 22,5(7), „დინამო“ — 22,5 (3), „სპარტაკი“ — 21(3).

პირველი ლიგის გუნდების საკავშირო თასის გათამაშებაში კი, რომელიც იურმალაში დამთავრდა, პირველობა დაისაკუთრა სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ ნაკრებმა (21 ქულა), რომელიც გაისად უმაღლეს ლიგაში ისპარაზეზებს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ: „დაუგავა“ (19,5), „კრასნოე ზნამია“ (15), „კალევი“ (13), „განთიადი“ (12), „ეალგირისი“ (9,5).

ა. სეხნიაშვილი



გარდაიცვალა საკოლმეურნეო შრომის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი, ორგანული ლენინის ორდენოსანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1951 წლიდან სკკპ წევრი ანეტა მიზეიანი ასული **სეხნიაშვილი.**

ა. მ. სეხნიაშვილი დაიბადა 1917 წელს წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

1926 წლიდან საცხოვრებლად გადადის სოფელ არმაზიანში და შემდეგ ებმება საკოლმეურნეო შრომაში. ა. სეხნიაშვილი მოწიფულ ასაკში მევენახე იყო. 1948 წელს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო 1949 წელს მევენახეობაში მიღწეული წარმატებებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

წლების მანძილზე ა. სეხნიაშვილი იყო სასოფლო და რაიონული საბჭოების დეპუტატი, ხოლო 1950-54 წლებში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საკოლმეურნეო შრომის ვეტერანს ა. მ. სეხნიაშვილს ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგების და მეგობრების გულში.

საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომი; სახალხო დეპუტატების წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომი; სოფლის მეურნეობის სამმართველო.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაბუეგიანი.



სამგზავრო მატარებლების მოძრაობის განრიგი

თბილისის რკინიგზის ვაგზლებისათვის 1980 წლის 1 ივნისიდან (მოსკოვის დროით)

გასვლის დრო	ბოლო სადგურზე ჩასვლის დრო	მატარებლების №	სადგურამდე	პერიოდულობა	მატარებლების №	მოსვლის დრო	საწყისი სადგურიდან გასვლის დრო
			თბილისის სამგზავრო სადგური				
18.10	15.05	56	ერევან-მოსკოვი	ყოველდღე	56	17.58	9.25
22.08	7.10	55	მოსკოვ-ერევანი	„	55	21.54	23.59
22.01	22.10	166	ერევან-მოსკოვი	საჭიროების მიხედვით	166	21.49	12.44
10.19	18.52	165	მოსკოვ-ერევანი	„	165	10.05	9.45
0.55	8.17	184	ერევან-როსტოვი	ყოველდღე	184	0.35	14.55
21.22	6.50	183	როსტოვ-ერევანი	„	183	21.01	14.31
16.49	6.38	588	ერევან-სოჩი	საჭიროების მიხედვით	588	16.32	6,35
0.10	10.27	587	სოჩ-ერევანი	„	587	23.46	9.10
20.35	6.52	602	ზუგდიდი	ყოველდღე	601	7.50	21.12
23.10	8.24	608	საჩხერე	„	607	5.45	21.06
19.55	6.26	610	ბათუმი	საჭიროების მიხედვით	609	9.55	22.58
0.05	7.05	612	ქუთაისი I	„	611	5.20	22.04
23.00	8.01	616	ცხაკაია	„	615	7.00	22.47
19.20	9.38	626	სოჩი	ყოველდღე	625	9.12	19.45
0.20	5.05	639	თელავი	„	640	11.25	6.33
22.50	6.05	644	ქუთაისი I	„	643	6.30	23.00
19.45	7.19	646	სოხუმი	„	645	8.30	20.45
22.13	8.00	650	ფოთი	„	649	3.45	20.58
21.05	7,52	652	ბათუმი	„	651	8.17	21.27
21.25	8.18	654	მახარაძე	„	653	7.35	21.00
0.15	10.26	656	ქოგულეთი	საჭიროების მიხედვით	655	5.00	18.25
0.30	16 27	694	სოჩი	„	693	9.02	18.43
3.38	18.41	896	ერევან-ბაგრა	„	896	3.22	17.45
12.40	23.43	895	ბაგრა-ერევანი	„	896	12.20	23.51
20.55	14.25	905	ბაკო	ყოველდღე	906	12.50	22.40
4.30	5.30	6411	ბარდაბანი	„	6412	7.43	6.16
5.05	6.20	6413	ბარდაბანი	„	6416	15.55	14.37
13.40	14.53	6417	ბარდაბანი	„	6418	16.58	15.40
15.26	16.35	6419	ბარდაბანი	„	6420	18.14	16.57
16.15	17.25	6421	ბარდაბანი	„	—	—	—
18.00	19.16	6423	ბარდაბანი	„	6424	21.40	20.22
6.25	8.50	6427	აღსტაფა	„	—	—	—
17.02	19.07	6429	ფოთლო	„	6430	22.30	20.07
5.23	7.46	6431	ყაზრეთი	„	—	—	—
5.50	9.15	6433	სანაინი	„	6434	19.16	15.56
—	—	—	სადახლო	„	6436	12.06	10.05
6.08	9.35	6437	წითელწყარო	„	6438	16.07	12.43
16.27	19.55	6439	წითელწყარო	„	6440	9.08	5.43
14.28	16.54	6441	ყაზრეთი	შაბათობით	6442	19.52	17.27
12.18	14.37	6441	ყაზრეთი	ყოველდღე	6442	18.27	16.00
—	—	—	ახტალა	„	6450	21.20	18.47
6.42	10.45	6477	წნორი	„	6478	17.41	13,45
18.16	22,10	6479	წნორი	„	6480	8.30	4.40
—	—	—	თელავი	„	6488	19.30	15.20
13 56	18.10	6489	თელავი	„	6490	22.55	19.05
			ბორჯომის ვაგზალი				
14.45	10.25	14	მოსკოვი	ყოველდღე	13	16.20	19.50
22.01	22.10	168	მოსკოვი	საჭიროების მიხედვით	167	10.05	9.45
15.50	21.47	604	სამტრედია	ყოველდღე	603	13.03	7.13
23.20	7,22	672	ვალე	„	671	18.50	11.35
5.55	9.32	6402	სურამი	„	6401	17.50	14.25
8.42	12.11	6404	ციხისვალი	„	6403	17.28	14.20
11.50	15.12	6406	ხაშური	„	6405	19.38	16.41
16.25	18.35	6408	გორი	„	6407	21.23	19 12
20.05	22.12	6410	გორი	„	6409	6.17	4.10
7.55	12.30	6484	ბორჯომი	„	6483	21.44	18.10
17.30	21.35	6486	ბორჯომი	„	6485	9.45	5.50
7.15	10.55	6492	ბორჯომი	საჭიროების მიხედვით	6491	16.47	13.20
			თბილისის საკავანძო სადგური				
1.14	2.38	6461	სადახლო	ყოველდღე	6462	6.30	4.40
7.27	9.16	6435	სადახლო	„	—	—	—
10.23	14.15	6487	თელავი	„	—	—	—
12.45	13.50	6415	ბარდაბანი	„	6414	8.36	7.41
15.58	18.37	6449	ახტალა	„	—	—	—
18.30	5.15	675	ერევანი	„	676	4.50	18.34
20.48	7.55	37	ბაკო	„	38	9.02	22.00
21.25	22.20	6425	ბარდაბანი	„	6426	0,32	23 32
0.02	8.35	673	ერევანი	„	674	7.53	23.00
—	—	—	აღსტაფა	„	6428	11.22	9.00
—	—	—	ყაზრეთი	„	6432	15.10	13.05
—	—	—	ბარდაბანი	„	6422	19.50	18.48

ვანოობა სიღნაღში

ქართველი ხალხის გულში არასოდეს არ წაიშლება უკვდავი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის ხსოვნა. ამ ეროვნული საოპერო ხელოვნების კორიფემ შორს გაუთქვა სახელი ქართულ სიმღერას და ფართო ასპარეზი გადაუშალა ქართველი მომღერლების შემდეგ თაობებს.

დიდი მომღერლისადმი ხალხის სიყვარულის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულება იყო ის, რომ ამ ათიოდე წლის წინათ გადაწყდა, ყოველწლიურად, მაისის ბოლო კვირა დღეს სიღნაღში აღნიშნულიყო ყვავილობისა და სიმღერის დღესასწაული „ვანობა“.

და აი, კვლავ ზღვა ხალხი შეიკრება სიღნაღის ცენტრალურ მოედანზე. ირგვლივ ყვავილებია, ბევრგან შენიშნავთ ვანო სარაჯიშვილის პორტრეტს, რადიორეპროდუქტორებიდან გაისმის უკვდავი მომღერლის ხმა.

რაიონის ხელმძღვანელები და საპატიო სტუმრები ვანო სარაჯიშვილის ძეგლს დიდი გვირგვინით ამკობენ. შემდეგ ხალხის მდინარე დაიძრა სიღნაღის კულტურისა და დასვენების პარკისაკენ. გზად ყველაფერი სახალხო დღესასწაულს მოგაგონებთ, ზოგან ჭიდაობა გაუმართავთ, ზოგან — კაღლობა, აქა-იქ თონე აუბრიალებიათ და ცხელ-ცხელი შოთები ხელიდან ხელში გადადის, ვაჭრილები სათითარე ქვაბს ათუხთუხებენ და ჩურჩხელებს ავლებენ, ხოლო ძველანაგელებს არყის სახდელი მოუწყვიათ. აქვე მუშაობენ ხალხური ნაკეთობის სახელოსნოები და სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ სამახსოვრო სუვენირები. შორიახლო მოჩანან ნაბდებში გამოწყობილი შუბოსანი მეციხოვნენი...

დღესასწაული შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ბუჩუკურმა. სიტყვა წარმოთქვეს სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა მ. ოვედაშვილმა, კომკავშირის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნადაშვილმა, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სიღნაღის სამუსიკო სკოლის დირექტორის მოადგილემ ნ. ყოჩიაშვილმა, პუერპოდუქტების წნორის საწარმოო კომბინატის მთავარმა ინჟინერმა რ. მაზიაშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. მანოილომ, ლექსი წაიკითხა პოეტმა მზია ხეთაგურმა.

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც თბილისიდან ჩამოსული მსახიობები, ისე ადგილობრივი თვითშემოქმედებითი კოლექტივების წარმომადგენლები.

გომბორის მთებიდან ალაზნის ველს ეფინებოდა ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, სხვა ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებთა, ხალხური მუსიკის მომხიბვლელი ჰანგები. ეს იყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული, შრომისა და სიმღერის მომხიბვლელი ზეიმი.

ვლ. მჟედლიშვილი,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

ლ. ბეგიაშვილი,
გაზეთ „კოლმეურნის“ რედაქტორი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УД 10161 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20